


საქართველოს მუზეუმი




ქართული  
მუზეუმი

# ნობელური № 6



## შინაარსი

I—არწივი და კაკები.—დექსი ვაჟა-ფშაველასი . . . . .	3
II—წაფთის სამეფოში.—წინა ნაკაშიძისა . . . . .	6
III—გულისტანელი ქალი.—სღამარი . . . . .	17
IV—პოლბერის საუბარი.—ხარჯი ი. შაჰავანაძისა . . . . .	24
V—გაუმძლარი.—(ვედრეპისეღისა) გიგო ვაფარაძისა . . . . .	27
VI—ცელქის დღიურიდან.—(გაბერტანისა) ახონ წიკო- ლაიშვილისა . . . . .	36
VII—სამშობლო ქვეყანა.—ერუშეთი, არტანა, კოდა.—ა. ვაფარაძისა . . . . .	42
VIII—წყალი.—ჭიგენურა საუბარი, ღ. ბოგვაძისა . . . . .	49
IX—ბოტანიკური საუბარი.—(გაგრძეღება) სოფლომონ ქურდიანისა . . . . .	54
X—წერილები ფიზიოლოგიიდან.—წყრადი შკოთაძე ავ. კო- მარტულისა . . . . .	58
XI—გასართობი: —ა) თვალთმაჭკობა და შისი ახსნა, —ბ) რებუსი და ახსნა . . . . .	63
XII—ბიბლიოგრაფია სიბავშვო წიგნებისა.—სან დანისა.	



# ნაპაღ ული

საქმადვილო შუკნალი

ვალინალი მისონი



ივნი, 1908 წ.



219



თბილისი, ელექტრონის სტანბა წიგნების გამომცემელი


# შინაარსი

საქართველოს ენათმეცნიერების ინსტიტუტი

I—არწივი და კაკაბი.—ლექია ვაჭა-ფუშავეკასა . . . . .	3
II—ნავთის სამეთოში.—ნინო ნაკაშიძესა . . . . .	6
III—გულისტანელი ქალი.—ზადაზადა . . . . .	17
IV—პოლბერის საუბარი.—ზარჯი ი. შაჭავაძისა . . . . .	23
V—გაუმძლარი.—(ვედრეკასულისა) გავთ ვაჭავაძისა . . . . .	27
VI—ცელქის დღიურიდან.—(გაბერტონისა) იასონ ნაკა- შიძისა . . . . .	36
VII—სამშობლო ქვეყანა.—ერუშეთი, არტანუჯი, კოლა.—ა. ეფრემისა . . . . .	42
VIII—წყალი.—ჭავჭავაძის საუბარი, დ. ბოგვაძისა . . . . .	49
IX—ბოტანიკური საუბარი.—(გაგრძელება) სოლომონ ქუთაძისა . . . . .	54
X—წერილები ფიზიოლოგიიდან.—წერადა შუათხე ივ. გო- მარტაძისა . . . . .	58
XI—გასართობი: —ა) თვალთმაქცობა და მისი ახსნა,—ბ) რებუსი და ახსნა . . . . .	63
XII—ბიბლიოგრაფია საბავშვო წიგნებისა.—სან დანასა.	



საქართველოს ენათმეცნიერების ინსტიტუტი



## არწივი და კაკაბი



აკაბმა უთხრა არწივისა,  
„გთხოვ, ამიყვანო შვილადა“,  
სთქვა და თვალთაგან ცრემლები  
გადმოუგორდა წყვილად.

„შენ რომა მყვანდე ქოშავად,  
რას დამაკლებენ ქორები?  
დავგოგავ თავისუფლად,  
არავის შევეპოვები.“

შიშს ქვეშა ვცხოვრობ დღე და ღამ,  
და საკენქსა ვკენკ თრთოლითა,  
ყოველი ლუკმა, ნაბიჯი  
რწყულია შიშის ოფლითა.

ცის ქვეშე ჩემი მფარველი  
არსით არ მოიპოვება,  
უმწეოდ რომ ვგრძნობ ჩემს თავსა,  
დაბნეული მაქვს გონება.  
ოპ, რომ იცოდე, არწივო,  
ჩემი ტანჯვა და გოდება,

ალარ მოპკლავდი კაკაბსა,  
არ ჩაუყრიდი ბრკყალეზსა,

მის ხორცს არ დააფრთებდი  
 მაგ "შენს მშვენიერს თვალებსა.

— რას ამბობ, რასა, კაკაბო,  
 შე კლანქ-უძლოურო, ნაცარა,  
 ვინ დავარიგა, ან კკუა  
 თავში რამ გამოგაცალა?!

ხომ წაწყმდა მთელი სამეფო,  
 ქორ-შვევარდნების ბრბოები,  
 თქვენ დაგრჩესთ სანავარდოდა  
 მინდვრის და მთათა შტოები!

ბარემ ის მითხრა, — მოკვდი-თქო,  
 პირ და პირ მოუფერებლად!  
 გასწი, გამშორდი თვალთაგან,  
 ჩემს კლანქთა მოუღერებლად.

თორემ იქნება ბუმბული  
 შენი წაილოს ნიავემა,  
 მთისა მწვერვალი ახაროს  
 შენის ბუმბულის ტრიალმა!

განაბა სული კაკაბმა  
 იქვე მოსძებნა საფარი  
 ჩაქრა სხივ-გამოუცემლად  
 გულს ანთებული ლამპარი.

დაიწყო მწიარედ გოდება,  
 ნუგეშ-მცემელი სად არი?  
 არწივი ცის მკერდს გაეკრა,  
 ფარფაშობს, როგორც მაყარი,  
 ცას უპობს გამხმარს გულ-მკერდსა  
 ხამუშად მისი ყარყარი.

დასცინის უძლიეროთ სისუსტეს,  
ლოცავს არსებულს წესებსა:  
ზოგი რომ აბედი არის,  
სხვა ზედ ცეცხლს დააკვესებსა,  
გაუპობს ნადავლს გულ-შეკრდსა  
დაპბლუჯავს, დააკვნესებსა.

ვაჟა-ფშაველა

ინოვაციური კითხვა



დასცინის უძლიეროთ სისუსტეს, ლოცავს არსებულს წესებსა: ზოგი რომ აბედი არის, სხვა ზედ ცეცხლს დააკვესებსა, გაუპობს ნადავლს გულ-შეკრდსა დაპბლუჯავს, დააკვნესებსა.



## ნავთის სამეფოში



აზაფხულდა. პაეტრში ნავთის და მარუთის სუნნი დატრიალდა. თოვლი დადნა და ნავთის „კომპკები“ ახლა შავად არიან აწოწილილებული ცის სივრცეში. ისმის განუწყვეტელი სტვენა და საყვირის ღრიალი. ბორბლები ტრიალებენ. რკინებს გააქეთ რახა-რუხი. ორთქლის ქვაბები ქშინავენ და საკვამლე მიღების ღია ხახიდან შეკუმშულ კომლსა და ქვარტლს ისვრიან. კომლი ნელ-ნელა იშლება, მიიზღაზნება მაღლა-მაღლა და ცას ეფინება. ქვარტლის პაწია წინწყლებიკი უკანვე ბრუნდება და ჰბარდნის ირგვლივ მიდამოს; შხის სხივებთან ერთად გვეცვივა თავზე, სახეზე, ტანისამოსზე, ვიქერთ ხელებით და, რაც შეტს დავიქერთ, უფრო ვსიამოვნებთ: გვიხარია, რომ გაგვიზაფხულდა; გვიხარია, რომ შზემ მიწა გაათბო, ყინული გააღხო; შავი მარუთი გაათბო და შავად გადამოადინა. ტიტველა ფეხებით სიამით ტოპავთ დამბალ მიწაში და ნაკვალევში ზეთის ტბასავით ნავთი რჩება. აქა-იქ, სადაც კომპკები თითქოს განგებ მიწვევ-მოწვეულან, უზარ-მარალულების შთაა დაგროვებული; ჩვენ თავისუფლად დაფქვრებით ამ ლულებში და კეკე-მალულობას ვთამაშობთ. მუშები მიდი-მოდიან, საჭირო იარაღი შიაქეთ. აქ ურემს შიაგორებენ, იქ



ვეება გრძელ რკინას „ელესა“-ს\*) ეუბნებიან, მიითრევენ ახალ კოშკისაკენ, რომელიც ჯერ კიდევ არ გაშავებულა; უნდათ იმის ქვეშ მიწა გაბურღონ და ნავთის შადრევანი ამოიყვანონ. ჩვენ გვიყვარს ნავთის შადრევანი: ეს ფულს გააჩენს, ახალ მუშებს მიუმატებენ, და მაშინ ხომ უსაქმოდ დარჩენილები საქმეს იშოვნებენ. პაწია თალიკოს მამაც, რომელიც ასლა დაღვრემილი და უბედურია, საქმეში ჩადგება და მაშინ თალიკოსაც ყოველდღე ექნება პური და შექამადი. თალიკოს დაღონებული დედაც გაიღიმებს.

— რა ბედნიერი ხართ, ნინო, რომ სამუშაო გაქვთ, — ხშირად ეტყვის ხოლმე დედა ჩემს თალიკოს დედა

— დიად, დიად მართა, ღმერთი თქვენკენაც გადმოიხედავს, ბოლოს და ბოლოს ამოსკდება სადმე შადრევანი, და თქვენც გაგიჩნდებათ სამუშაო, — მიუგებს დედა.


მართლაც და ჩვენ ბედნიერი ვართ: ვცხოვრობთ ერთ ოთახში, დიდ ბუხარში მთელი ზამთარი ცეცხლი გვინთავს: შავი, სქელი მახუთის წითელი ცეცხლი, რომელმაც მშვენიერი სითბო და ქვარტლის მწებვარე-წინწყლები იცის; მართალია წინწყლები ქვეშაგებს სწებავს, გვევლისება, მაგრამ მამა ამბობს, რომ ზამთარში ეს უკეთესია, საბანი ტანზე გვეწებება და იმიტომ აღარ გეძვრებაო. ჩვენ სახლში ყველგან მუშები დგანან: ქვევით სართულში, ზევით, ჩვენს გვერდით... ისმის ბავშვების თივილ-ხივილი, სიცილ-ტირილი. კოშკების ტყეში ვართ. ირგვლივ ყველგან — წინ, უკან, გვერდებზე კოშკებია. მამა ამბობს „ჩვენ ვცხოვრობთ ნავთის სამეფოში, შავი კოშკების ტყეში“.

გაისმის თუ არა პირველი სტვენა განთიადისას, მამა საჩქაროდ დგება, იცვამს სამუშაო ხალათს. იმის ტანისამოსს მუდამ გაზაფხულის, ე. ი. მახუთის სუნი უდის და შავად პრიალებს.

\*) „ელესა“ — სიმღერაა გურიაში იციან, მაიმე ტვირთის წაღების დროს მღერიან.

— ოპ, ეს ხალათი, — ბუზღუნებს მამა, — ბალის ქერქ-  
 ვით გაახერხევა მავთოში.

მე ეს არ მესმის: ბალი ნაზი და გემრიელია. ჩვენი მე-  
 დუქნე ჰყიდის გაზაფხულში, მაგრამ მამა უთუოდ ხუმრობს.



მამა საჩქაროდ მიდის კოშკში. დგება მარჯვნივ დიდ  
 მანქანასთან და ჩარხს ატრიალებს. ღვედები შრიალს დაიწ-  
 ყებს, დაიხლაცნება, მანქანა ჩხარა-ჩხურით ატრიალდება და  
 ზევიდან, კოშკის კენწეროს ბორბლიდან მსხვილ თოკზე გა-  
 დმოეშვება უშველდებელი, გრძელი რკინის კურქელი, შხუი-  
 ლით ეშვება დედა მიწის გულში ღრმად გათხრილ ქაში და  
 ისრუტავს იქ ჩამალულ ნავთს. მამა ერთ წუთს შედგება და  
 ჩარხს უკანვე აატრიალებს: თოკები იწვეიან; რკინის კურ-  
 ქელი შხუილითვე მძიმედ ამოდის, მოტრიალდება, სარქველი  
 ეხდება და რაც შიგ არის — შავ-ყვითელი ნავთ-წყალი სწრა-  
 ფად ჩადის ქასთან დამაგრებულ ხის ღარში. თითონ-კი საჩქა-  
 როდ ისევ მისრიალებს უკან, ჯურღმულისაკენ.



მამა ატრიალებს და ატრიალებს ჩარბს, ჩუმად, უსიტყვოდ. აქაფებული ნავთ-წყალი მიისწრაფვის გარედ, ავსებს მიწაში ჩადგმულ ხის ბელლებს, აქედან სხვა დიდ ბელლებში გადის, წყალი-კი ჯერ პატარ-პატარა და შემდეგ ერთ დიდ არხში თავმოყრილი მიიგრაგნება ნავთის სამეფოდგან... ყვითელი, მყრალი, ნავთ-ნარევი წყალი!—ასე ბრძანა ერთმა გრძელ-კაბიანმა ლამაზმა ქალბატონმა, რომელსაც თავზე უშველებელი, ყვავილებიანი ქულა ეხურა, ცხვირზე ხელი მოეჭირა და ამბობდა:

— ფუი, ფუი, ფუი! აქ ნამდვილი ჯოჯოხეთია: ეს მყრალი მდინარე, რკინების ჩხარა-ჩხური, ქვარტლი. ეს შავი, ქუქყიანი დაღვრემილი ხალხი და ეს აწოწიალებული, შავი კოშკები, ეს მაზუთი... ოპ როგორ დამესვარა ფეხსაცმელები, შლიაპა, კაბა...

— არა, კაბა ჩემი აზრით შშენიერია, — მიუგო ღიმილით იმ კაცმა, რომელიც მას ახლდა, — წარმოიდგინეთ, მოყვითალო, შავი წინწკლებით ამოქარგული, ფარჩა.

— ახ, უბედური ბავშვები, როგორი გამურულები, არიან. — სთქვა ქალმა, როცა ჩვენ შემოგვხედა, — სად თამაშობენ, აქ ადგილი არსადა ჩანს...

— ჩვენ აქ ვთამაშობთ ამ კოშკებსა და ნავთის ბელლებს-შუა, — ვუთხარი მე. — ზამთარში მართლა უბედურები ვიყავით, ციოდა და ოთახში ვისხედით, ახლა-კი, ხედავთ, გაზაფხულდა... აი ეს ჩემი ამხანაგი გიგიაა, ეს თალიკოა, ეს სიმონია, მიხა, მარო...

ქალმა გაიღიმა, და შორიდან ყველას თითო კამფეთი დაგვირიგა.

— განა არ შეიძლება, რომ ბავშვები აქ არ მოგვეყვანათ?

— არა, — მიუგო კაცმა, — ბავშვები ჩვენ არ მოგვიყვანია, თავიანთ მამებმა მუშებმა მოიყვანეს და მუშები რომ არ იყვნენ აქ, მანქანები არ ატრიალდებიან, ნავთი დედამიწის

გულში დარჩება და საზამთროდ თქვენ ნიცაში ვეღარ წაბრძანდებით..

— აა, სთქვა ქალმა, — მაგრამ არც ისე უბედურები სჩანან... ზაფხულში უთუოდ სოფელში სააგარაკოთ დადიხართ სადმე, ჩემო პატარავ, — მომმართა მე და თეთრ ხელთათმანებიანი ხელი გამოსწია; მე მგონია, უნდოდა ჩემთვის თავზე გადაესვა, მომფერებოდა, და გამეხარდა, მაგრამ თითქოს რილასიც შეეშინდაო, სწრაფად უკან წაიღო, ზედ დაიხედა და ერთ წუთს მიუყურდა.

— არა სოფელში არ ვყოფილვარ, მე აქაური ვარ, — აქ დავიბადე, ვუთხარი მე.

— აქ დაიბადე? მამ სოფელი, რა არის არ იცი? მდინარე არ გინახავს, არც ხე?

— მდინარე? აი, — მივუთითე არხზე; სადაც მიიგრავნებოდა ყვითელი მახუთით მოპირპილებული წყალი. — იგერ ხეც, — ვაჩვენე ტელეგრაფის ხე.

ქალი შეკრთა, შეშინდა, კაბის ბოლო ხელიდან გაუსხლტა და შეტბორებულ მახუთზე გაიშალა. გაფართოებული თვალები მომაპყრო და მთრთოლვარე ხმით მკითხა:

— არა, მე ანკარა წმინდა მდინარეს გეკითხები, ქვებზე რომ ჩანჩქარებს და შიგ რომ თევზები დაცურავენ და ნამდვილ ხეს, შრილა, მწვანე ფოთლებიან ხეს, ჩრდილოს რომ ჰყენს შოლზე და შტოებზე რომ ფრინველები ასხდებიან; ან კიდევ აყვავებულს ხეხილს, მაგალითად ბალი არ იცი?..

— ჰო, ჰო, ბალი, ვიცი. ბალის ქერქი, როგორც მამას ხალათია შავი და მახუთით გახერხებულული...

ქალი განცვიფრდა. ჩვენ გაკვირვებული შევეყურებდით.

— საშინელებაა, საშინელება! — სთქვა მან ბოლოს. — მე აქ ერთ საათსაც ვერ გავსძლებდი... უკრთა სმენა წაიღო ამ ქვებების ქშენამ... წარმოიდგინეთ აქ ჩემი ეორეი... განა შეეძლო... აჰ, რა კარგი ექენი, რომ არ წამოვიყვანე; რისთვის უნდა დამელონებინა ბავშვი ამ სანახაობით. გავზრდი

გაუქირვებლად, იმას ცხოვრებაში სხვა დანიშნულება ჰქონდა... მშვიდობით ბიქიკო, მშვიდობით ბავშვებო, — იყავით ბედნიერი, გაიხარდეთ კარგი მუშები, ითამაშეთ, ითამაშეთ, — გვითხრა მან და ვასწია ქიშკრისაკენ სადაც დიდი, რბილი ფრუტუნა ცხენებ-შებშული ეტლი უცდიდა.

ჩვენ გვინდოდა ეტლის უკან ხარბხაზე შევსხდომოდით, მაგრამ შეეტლემ მრისხანედ გადმოგვიქნია თეთრი მათრახი და გავიქეციით.

სალამოს მამა მოვიდა. დაჯდა სკამზე და მძიმედ ამოიხენეშა. დედამ პირი დააბანინა და მიტრიალდა ვახშმისათვის.

— ეჰ, რა კარგია ახლა ერთი სოფელში, მინდორში ბალახზე გავლა-გამოვლა; გამოყრუვდება კაცი ამ ქვარტლში და მანქანების ღრიანცეღში ჩარხის ტრიალით...

— აი, ის ქალიც სოფელზე ოაპარაკობდა. რა არის, მამი ხე, შრიალა ხე? — ვკითხე მე.

— მოიცა, ნუ შეაწუხებ. მამა დაღალულია, უნდა დაიძინოს. წადით ითამაშეთ, — გვითხრა დედამ, რომელმაც ამ დროს მამას საქმელი მოუტანა.

— მადლობა ღმერთს, დიმიტრი, რომ რაც არის, სამუშაო მაინც გვაქვს, — უთხრა მამას.

— ჰო, ეს კი რასაკვირველია, რამდენია ულუკმო პუროდ, — ამოიხენეშა მამამ.

გაისმა სტვენა და ჩვენ გვერდით ოთახიდან სწრაფად გამოვიდა, თვალების ფშვენტით, ჩვენი შეზობელი გაბრიელ და გაეშურა სამუშაოდ. ის ღამის მუშაა, ღამე ატრიალებს ჩარხს დილაშდის. დილით დაიძინებს, სალამოს ისევ წავა. მე არც კი მინახავს როგორ იცინის გაბრიელი. მაგრამ ეს არც საკვირველია, როცა მას ღვიძავს, ჩვენ მაშინ გვიძინავს და იმისი შვილი გიგია ამბობს, რომ ძილში იცინის და ამ დროს ძალიანაც შვეწისო; გაზაფხული გაბრიელსაც უყვარსო. — და ან კი ვის არ უნდა უყვარდეს სითბო და მზე?

ამას წინედ ჩვენმა მასწავლებელმა მარიამმა გვითხრა:

— გაზიჟებული დადგა, ბავშვებო, ქვეყანა გათბა, ბუნება გამოცოცხლდა. გინდათ, წაგიყვანოთ მინდორში სასაღმრთლოდ?

— გვინდა, გვინდა! — შევეღრიალეთ გაზარებულებმა და მოვეხვიეთ კაბაზე. მისწავლებელი თითონაც გვეხვეოდა, გვეაღერებოდა და გვკოცნიდა. იმას ახარებს ჩვენი აღერსი და არასოდეს არ დაიხვევა უკან შეშინებული. ხელზე თერთრი ხელთათმანები არ აცვია, კაბაც მოკლე აქვს... ხანდახან მაროს და თალიკოს ჰკოცნის შემდეგ, მურიცკი აცხია სახეზე. სადგურთან რომ მივახწიეთ, ახლად მოსულ მატარებელიდგან გადმოიშალნენ ბაქოდან მოსული მუშები. ყველა პირდაბანილები, სუფთა ხელებიანი იცინოდნენ. ვაგონების ფანჯრები ღია იყო და იატაკი, როგორც ზამთარში ახლაც მოფარული იყო მზუჭქვრიტას ჩენჩოთი. გავსცილდით ლიანდაგს, აეუარეთ ქაობს. ქაობში ნავთის მაქებარნი წელამდის ტალახში დადიოდნენ; ყველას ხელში მჩვარი ეჭირა და ტალახის ზედა პირს უსვამდა, სადაც ნავთი შავად ტიეტივებდა და თავთავის ყუთში სწურავდნენ.

— ესენი უსაქმოდ დარჩენილები არიან — გვითხრა მისწავლებელმა. — ცოტაოდენ ნავთს აგროვებენ, ჰყიდიან და ამით ლუკმა პურს შოულობენ. ზამთარში კი ცივა, ველარას აგროვებენ. — დიად, მამა ჩემიც აგერ ნავთს ეძებს, — სთქვა თალიკომ და მიგვითითა ქაობისკენ. თალიკოს მამა, რომელიც ამ დროს ნავთით გაელენთილ მჩვარს სწურავდა ყუთში, გულამდის ჩამალულიყო თხელ, ლურჯ, პრიალა ტალახში. პერანგი, პირი სახე, თავი სრულიად გაელენთილი და გაშავებული ჰქონდა ტალახით. დაგვინახა თუ არა, გაგვიცინა და თავი დაგვიჩნია.

— მიმილო, სასაღმრთლოდ მიგყვართ მისწავლებელს მინდორში, — გასძახა მხიარულმა თალიკომ.

— ჰო, ჰო წადი, გოგონავ, გაიხარე. მეც ვახშაშს მოგიტანთ, — გამოსძახა მან და ისევ გაიღიმა. თერთრი კბილები შავ სახეზე თითქოს უბრწყინავდნენ.

გავედით მინდორში: დიდ, ტრიალ ტიტველა აღდგინდა, აღარც კოშკები; აღარც ქვაბი, აღარც მანქანა, აღარც რკინები! სირბილი შეიძლებოდა, რამდენიც სულსა და გულს უნდოდა. აქა-იქ ფხვიერ, მოწითალო მიწაზე თხელი წვრილი მომწვანო ბალახი გაუბედავად ამოსულიყო, და ძალიან შევენოდა.

— ამა, ირბინეთ, ითამაშეთ, რაც გინდათ,— გვითხრა მასწავლებელმა.

— ქორობია. ქორობია ვითამაშოთ...

— არა, კატა-თაგობა..

— ბურთი!..

— ჩილიკა ჯოხი, — იძახდნენ ბავშვები.

— ის რა არის? აი შევი ჯანყი რომ მოჩანს, — ეკითხებოდა ზოგი მასწავლებელს.

— ოო, ეს „შევი ქალაქია“. აი იმ ქარხნებში სწუმენდენ ნავთს, მხოლოდ იქ გაწმენდილი ნავთი ვარგა ლამპებისათვის. აი, იქით, ორთქლის შადრევანები რომ ამოდის, სურახანაა, აქეთ რომანია, იქით შორს ბიბი-ეიბათია... აი ჩვენი ბალახანაც...

— აი, იქ, იმ კოშკში ახლა მამა დგას და ჩარხს ატრიალებს, — დავიძახე მე.

— აი, იმაში მამა ჩემია. ძლივსა ჩანს მანქანასთან, — სთქვა ხარხარით მიხამ.

— იქ მამა ჩემია.

— იქ მამაა, — იძახოდნენ სხვებიც.

— რა, რა მარიკო, შენ გინდა შეიტყო, ის კაცი რას აკეთებს? — უთხრა მასწავლებელმა პატარა მაროს, რომელიც გორაკის ძირისკენ უთითებდა.

— მიწისა ხნავს, — მასწავლებელმა ხელი მოხვია მარიკოს და მოკვმართა ყველას, — ბავშვებო იცით?..

— ვიცით, ვიცით, პური ამოვა! — მოისმა იქით-აქედან.

— შეც ვიცი, — ესთქვი მე, — იქ ისეთი მწვანე კეჯილი

ამოვა... მე ერთხელ შიგ გავირბინე... აპ რა კარგია, იტალიაში  
იკოდე, მასწავლებელს შიგ სირბილი, მხოლოდ არ შეიძლება.

— აპ, შე საბრალო ბავშვო ნათის სამეფოსავ, — მით-  
ხრა მასწავლებელმა, თავზე ხელი გადამისვა, და მოგემართა  
ყველას:

— იცით, ბავშვებო, სოფლის მინდვრები სულ გუგულის  
მსგავს მწვანე ბალახით არის დაფარული. თქვენ წარმოიდგი-  
ნეთ ახლა ამ მწვანე, რბილ ბალახში ათასფერი ყვავილები,  
რომლებიც თითქოს ეშმაკური სიცილ-ხარხარით გამოიციქი-  
რებიან მწვანიდან და სიამით სალამს აძლევენ პაწია, ჭრელ,  
გამკვირვალე ფრთიან, პეპელებს. პეპელები ნარნარით თავს  
ველებიან, ეალერსებიან ყვავილებს და პაწია წმინდა დინგე-  
ბით გულს უკაცნიან. ბალახებში ჩამალული ჭრიკინები გულ-  
მოდგენით, გატაცებით უკვრენ თავიანთ სიხარულის ქიანურს.  
ნიავე-კი ნელა სიყვარულით დასჩურჩულებს ყველას საერ-  
თოდ, — გაზაფხულია — სიხარულიაო. ამ აშბით გახარებულნი  
ბალახ-ყვავილნი ნახად ირბევიან და ერთმანეთს კაცნიტ უზი-  
არებენ საამო ჩურჩულს. ამ დროს ბავშვები, ისეთი პაწია ბავ-  
შვები, როგორც თქვენა ხართ, დაბტიან მწვანე მდელოზე,  
სდევენ პეპელებს, გორაობენ... ლურჯ, კრიალა ცის გულზე  
ამაყად დადის ბრწყინვალე მზე და ირგვლივ მიდამოს აფრ-  
ქვეს უხვ სხივებს... — მასწავლებელი ერთ წუთს მიყუჩდა.

— მართლა, იქ ხეებიც არის, შრიალა ფოთლებიანი  
ხეები? ვკითხე მე.

— გვიამბე, გვიამბე, მასწავლებლო, როგორია სოფე-  
ლი, — მოისმა ბავშვების თხოვნა.

— სოფელი არის, — დაიწყო მასწავლებელმა, ცოტა ხანს  
ისევ შეჩერდა, ჩვენ გულის ფანქალით მოველოდებით, სმე-  
ნად ვიყავით გადატკეულნი.

— იცით რა, — განაგრძო მან, — მე ერთი პატარა მოწა-  
ფის რვეული მაქვს... როცა სოფელში მასწავლებლად ვიყავი,  
ჩემი თხოვნით ასწერა სოფლის გაზაფხული. აი ხვალ ამ რვე-  
ულს მოვიტან და წაგიკითხავთ. გინდათ?



— გვინდა, გვინდა! — მოისმა ხმები.

— მეც ავსწერ აქაურ გზაფხულს, — წამოვიძახე მე.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, რეზიკო, შენიც წაეკითხოთ და ისიც.

თბილოდა, ჯანყი და კვამლი ირგვლივ ნავთის სამეფოს სკლად ასდიოდა, ჰაერში იშლებოდა, თხელდებოდა თითქოს ჩვენ თავზე ზევით სულ მალლა თავს იყრიდა და შეერთებული მოწითალო, რუხ ღრუბლად ქცეული ნელ-ნელა ცურავდა ცის გულზე. მზე გვიცინოდა და თავის სხივებთან ერთად სულ ჰაწაწკინა ქვარტლის წინწყლებს ნაზად აბნევდა მოწითალო მიწას. მარჯვნივ და მარცხნივ მატარებლები ქშენით და სტვენით აპობდნენ ჰაერს, აქეთ-იქით დასრიალებდნენ და იმათი თეთრი კვამლიც საერთო შავ კვამლს უერთდებოდა. შავ მთის ძირში მარტოკა კაცი ჩუმად ხნავდა, და ხან ხანტად გადაუშხივლებდა შოლტს გამქვარტლულ ხარებს. ტელეგრაფის მავთულებზე ისხდნენ ბელურები, სადღაც მარჯვნიდან გადმოფრინდა ერთად ერთი ყანჩა, ქვევით ქაობის პირად ჩაჯდა, წაიგძელა ვეება კისერი, და დიღხანს შგონია, შურით უცქერდა ტალახში მცურავ ადამიანების გაშავებულ სველ აბურძგვნილ თავებს. შემდეგ აფრინდა და მოშორდა იქაურობას.

ჩვენ-კი დავრბოდით, ვბტოდით, ვიცინოდით, ვხარხარობდით, ვთამაშობდით.

— ახლა-კი წავიდეთ შინ! — გაისმა ბოლოს მასწავლებლის ხმა.

— ასე ჩქარა? ჯერ არ დაღამებულა...

— აჰ, რა კარგია აქ!..

— აჰ, რა მშვენიერი სარბენი ადგილია!..

— როდის მოვალთ კიდევ?.. — ისმოდა ყოველი მხრიდან.

გაწითლებულნი, მხიარულნი წავედით შინისაკენ საღვურზე ისევ შეგვხვდა მატარებელი, მაგრამ ახლა ბაქოსკენ მიმავალი. გამურული, დაღალული დაღვრემილი მუშები ისხდნენ ვაგონებში და აქეთ-იქით უაზროდ, უხალისოთ, იყურებოდნენ.

მამა უკვე მოსულიყო და ვახშამს შეექცეოდა.



— მამილო, — შეესძახე მე, — მამილო, შენ წარმოიდგინე რამდენი ვითამაშეთ და ვისიამოვნეთ; რა უშველებელია მინდორია... ჩიტებიც ვნახეთ... სწორედ მშვენიერი გაზაფხულია. მე უნდა ავსწერო აქაური გაზაფხული... მასწავლებელი ჩვენ წაგვიკითხავს სოფლის ამბავს... ახ, რომ იცოდე, მამილო, რა გვიაზბო... რა ბედნიერი ბავშვებია, თურმე იქ სულ ამწიანებულ მინდვრებზე დარბიან... ნუ თუ მართალია?...

— მე შენ წაგიყვან სოფელში, ჩემო რეზიკო; აი, ნახავ, წაგიყვან: მინდვრებშიაც ირბენ, ხეებსაც ნახავ და ჩიტებსაც... ერთხელც იქნება დავახწევ ამ ჯოჯოხეთს თავს, ნუ გეშინია. — მამას უნდოდა გაეცინა, მაგრამ სიცილის მაგიერ, სახე როგორღაც დაეღმიჯა და თვალეზზე ცრემლი მოადგა.

გაისმა სტენა და მეორე ოთახიდან გამოვიდა გაბრიელი, თვალეზს აღარ იფშენებდა, სახეზე რაღაც ღიმილი უთამაშებდა. დაინახა თუ არა მამა შესძახა:

— მე გადავწყვიტე!...  
— სოფელში წასვლა? — შეჰყვირა მამამ და დაინება ქამას თავი, წამოდგა კიდევაც.

— ვაშა, ვაშა! — ეჭვი, მაშ მივდივართ ჩვენც, მამა, სოფელში, მაგრამ განა აქ მართლა ასე ტუღია, რომ ყველა სოფლისთვის დარდობს?..

მამა შეშინებული შემომჩერდა.  
— მაშ აქ კარქია? — მკითხა მან.

— არ ვიცი, — მივუგე მე, — მე სხვა არა მინახავს რა. მამა იდგა გაფითრებული ერთ ადგილას.

არ ვიცი, რისთვის შეეშინდა და გაფითრდა მამა. მიკვირს, როგორ არ მოსწონთ აქაურობა? მე აქ დავიბადე, მიყვარს აქაურობა, მიყვარს გაზაფხული, სითბო და სირბილი.

აი ამიტომ ავსწერე და, რომ წაიკითხავთ, მითხარით, განა მშვენიერი არ არის აქ გაზაფხული?

ნინო ნაკაშიძე •





# გულისტანელი ქალი

## ზღაპარი



(მაშაღიან ქართველ ალი ვახაშის ნაშაღი  
ბოზი, ჩაწერილი მოწაფის მუსტაფა კანქაღი  
ლილის შიღი).

რძინა ერთხელ ხელმწიფემ, ლაშაზარი არაღ  
ვინ ანათოსო.

სამი და იყო. იყიდეს ფისი და ვაგლისეს  
ფანჯრები, რომ სინათლე გარედ არ გასუ-  
ლიყო. ფისით ვაგლესილ ფანჯრებს უქვე-  
რიტანა დარჩა და სინათლე გამოდიოდა. ერთი  
კაცი მივიდა ფეხაკრეფით ფანჯარასთან, ყური

მიადო უქვრიტანას და ცდილობდა გაეგო, რას ლაშარაკობ-  
დნენ ქალები.

უმტროსმა სთქვა:—ხელმწიფემ რომ მითხოვოს, იმისთანა  
პირსახოცს მოვეუქსოვ, ხელმწიფემაც პირი შეიშროს, მისმა  
ჯარმაკაო.

შუათანამ სთქვა:—ხელმწიფემ რომ მითხოვოს, იმისთანა  
ხალიჩას მოვეუქსოვ, იგიც დაჯდეს და მისი ჯარიკაო.

უმტროსმა სთქვა:—ხელმწიფემ რომ მითხოვოს, იმისთან-  
ნა შეილოს გავუქენ, რომ ქვეყანაზე მისი ბადალი არ მოიპო-  
ვებოდესო.

წავიდა ის კაცი ხელმწიფესთან და მოახსენა დების ნა-  
ლაშარაკევი.

ხელმწიფემ დაიბარა დები და შკითხა: ეგ რა გილაშარაკ-  
ნიათო?

ჯერ შერცხვით დებს, მაგრამ მერმე კი ყველაფერი დასრულდა და ახსენეს.

ხელმწიფემ სამივე დანი ცოლად ითხოვა. უმფროსმა და შუათანამ დაპირებული ვერ შეასრულეს. უმცროსი და ფეხმძიმედ რომ შეიქნა, ხელმწიფე სალაშქროდ წავიდა. უმცროს დას ეყოლა ისეთი ღამაში ბიჭი, რომ მართლაც ქვეყანაზე იმისი ტოლი და სწორი არ მოიპოვებოდა. შეშურდით უმცროსის დის ასეთი ბედნიერება უმფროსსა და შუათანას და მოიგონეს ასეთი ხერხი: დამალეს ახლად დაბადებული ბავშვი და იმის მაგიერ ლოგინში კატის კნუტი ჩაუგდეს. მერმე დაიბარეს ერთი ქალი, დაასაჩუქრეს და უთხრეს, —სადმე დამალე ეს ბავშვიო. ქალმაც ბავშვი წაიყვანა და ერთ მთაზე დასდვა. დაინახა თხამ მშიერი და უკმელი ბავშვი, შეეცოდა და ძუძუ მოაწოვა. მას შემდეგ ყოველ დღე თხა ძუძუს აწოვებდა ბავშვს და ზრდიდა.

თხის პატრონმა შეამჩნია, რომ თხა სადღაც დადის; გაკყვა ერთხელ უკან და პატარა ბავშვი კი იპოვნა მთაზე; აიყვანა და სახლში წაიყვანა.

ხელმწიფე რომ ლაშქრობიდან დაბრუნდა, შინაურებს ჰკითხა: რა მყავსო?—მოახსენეს: კატო, დიდად განრისხდა, მაგრამ რას იზამდა?

კვლავ დაორსულდა უმცროსი და, და ხელმწიფე კვლავ წავიდა სალაშქროდ.

ახლა ქალი ეყოლა. დებმა ეს ბავშვიც დაუბალეს და იმის მაგიერ ლოგინში ძაღლის ლეკვი ჩაუგდეს. დაიბარეს წინანდელი დედაკაცი, დაასაჩუქრეს და უთხრეს, ეს ბავშვი სადმე გადაჰკარგეო. იმანაც ბავშვი უწინდელ მთაზე დასტოვა. თხამ იმსაც აწოვა ძუძუ. მეცხვიარემ იპოვნა ბავში და შინ წაიყვანა. გოგო და ბიჭი ერთად იზრდებოდნენ.

ხელმწიფე რომ დაბრუნდა ლაშქრობიდან ჰკითხა შინაურებს —რა მყავსო? ლეკვიო, მოახსენეს. განრისხდა ხელმწიფე და ბრძანა:—ყელამდინ მიწაში ჩათალით ეს დედა-კაცი! ვინც

მის სიახლოვეს გაიაროს, ყველამ ქვა ესროლოს და დაეფურთხოსო!

ამასობაში მეცხვარესთან და-ძმა წამოიზარდნენ. ძმამ კარგი სროლა ისწავლა და ისე იღებდა ნიშანში, რომ ჩიტს ჰკლავდა ორი საათის სავალ მანძილზე. ბავშვები ძალიან კარგები გახდნენ და მათი პატრონი მეცხვარეც დიდ ბედნიერებას მიეწია: ერთს რომ გადუსვამდა თავზე ხელს, თუმანს პოულობდა, თუ ორთავეს მოუსვამდა თავზე ხელს, ორ თუმანს პოულობდა. დიდი ფული იშოვნა მეცხვარემ და მშვენიერი სასახლე წამოსკიმა.

ერთხელ ხელმწიფე სანადიროდ ბრძანდებოდა და მეცხვარის სახლთან მივიდა. დაინახა ჩიტი და დააპირა სროლა, მაგრამ მეცხვარის შვილობილმა დაასწრო და ჩიტი მოჰკლა.

ხელმწიფემ ჰკითხა: შეილო, რისთვის მოჰკალ ჩიტი, შეუნდა მომეკლაო. ყმაწვილმა უპასუხა: თუ გნებავს, მოკლული ჩიტი შენი იყვესო.

დაბრუნდა შინ ხელმწიფე და გულში სულ იმას ამბობდა: აჰ, ნეტავი ის ყმაწვილი ჩემი შვილი იყვესო.

კვლავ სალაშქროდ წავიდა ხელმწიფე. მისმა ორმა ცოლმა სთქვა: ჩვენის დის ვაფიშვილი კიდევ გამოჩნდა და რა ვქნათო? შოიგონეს ასეთი ხერხი: დაიბარეს ჰაბუკის და და უთხრეს, შეატყობინე შენ ძმას, ერთი იმისთანა სარკეა, რომ ვინც იმაში ჩაიხედავს, მთელს ქვეყანას დაინახავსო. დამაც მიუტანა ეს ამბავი ძმას. ჰაბუკმა გადასწყვიტა, წავალ და ვიშოვნე ამ საოცარ სარკესაო. აიღო ჯოხი, დაასო სახლს და უთხრა დის: თუ ცოცხალი ვარ, ჯოხი გაქან-გამოქანდებო, თუ მოკვდი, ჯოხის წვერიდან სამი წვეთი სისხლი გადმოვარდებო.

შევრი იარა, ცოტა იარა და მივიდა ერთ მდევთან. ჰაბუკმა გამარჯვება უთხრა, იმანაც „გაგიმარჯოსო“ უპასუხა და თან ესეც დაუმატა: გამარჯობა რომ არ გეთქვა, შეგვამდიო.— შენც რომ არ გეთქვა გაგიმარჯოსო, ამ ხმლით აგკუწავდიო, უპასუხა ჰაბუკმა.

— უმაწვილმა უამბო მღევს, ჩემი საქმე ასეა და ასეო, ხომ არ იცი სად არის სარკეო.

— ჩემ ძმასთან მიდი, ის გეტყვის, სადაც არისო.

— მივიდა ქაბუჯი მეორე მღევთან, მაგრამ აქაც ვერაფერი გაიგო სარკისა:

— დიდ მღევთან მიდი, მე არაფერი ვიციო.

დიდმა მღევმა ჰკითხა, რა გინდა, რისთვის მოსულხარო? უამბო ქაბუჯმა, ვეძებ იმ საოცარ სარკეს, რომელიც მთელ ქვეყანას აჩვენებსო.

დიდმა მღევმა ასე დაარია ქაბუჯი: აგრე წახვალ, შეხედები ვაშლის ხეს, ესროლე და ჩამოაგდე ვაშლიო. ვაშლი მწარე იქნება, მაგრამ მიინც სთქვი: უპ, რა გემრიელიათქო! მერმე შეგხვდება წყარო და დალიე. წყარო მწარეა, მაგრამ მიინც სთქვი: უპ, რა გემრიელიათქო! მერმე მიადგები მღევების სახლს... თუ თვალგახელილი დაგხვდნენ, იცოდე, რომ სძინავთ; და თუ თვალი დახუჭული აქვთ, იცოდე, ღვიძავთ.

ქაბუჯი გზას გაუდგა და ისე მოიქცა, როგორც დაარია დიდმა მღევმა. ვაშლი რომ ჩამოაგდო და გაკბინა, დაიძაბა: უპ, რა გემრიელიაო. წყარო რომ დალია, სთქვა: უპ, რა გემრიელიაო. მღევების სახლში რომ შევიდა, დაინახა, რომ მღევებს თვალეები ღია აქვთ. რაკი დარწმუნდა, სძინავთო, აიღო სარკე და გამოვიდა სახლიდან. მღევებმა რომ გაიგეს, სარკე წაულიათო, დაიღრიალეს: წყარო, სარკის ქურდი დაიქირეო.

— რად უნდა დავიქირო, უპასუხა წყარომ. ჩემი წყალი რომ დალია, სთქვა: უპ, რა გემრიელიაო, თქვენ-კი ზედაც არ მომკარებხართ! არც ვაშლმა მიაქცია უურადლება მღევების ბრძანებას რადგან ქაბუჯმა ვაშლის ხეს ნაყოფი მოუწონა და უქო.

ქაბუჯი სარკიანად შინ მშვიდობით დაბრუნდა. ძმის დაბრუნებით გახარებულმა დამ ჩიხებდა სარკეში და მართლაც მთელი ქვეყანა დაინახა.

სარკის მოტიანის ამბავი ამიღე გაიგეს ხელმწიფის ცოლებმა და სთქვეს: ნეტავი ის ქაბუჯი ცოცხალი არ გადაჩენილიყო. დაიბარეს ყმაწვილის და და უთხრეს: არის ერთი იმისთანა ხე, რომელიც დღე და ღამე მღერისო. კარგი იქნება ამ მომღერალ ხის შოვნაო.

რაკი ეს ამბავი გაიგო ყმაწვილმა დისაგან, ადგა და წავიდა მომღერალ ხის საშოვნელად. ყმაწვილი ეხლაც ისე მოიქცა, როგორც პირველად და შინ მშვიდობით დაბრუნდა, თან მოიტანა მომღერალი ხე.

ეს რომ შეიტყეს ხელმწიფის ცოლებმა, კვლავ დაიბარეს ყმაწვილის და და უთხრეს: ერთ ადგილს არის იმისთანა ქალი, რომ ბაღალი არა ჰყავსო. კარგი იქნება ამ ქალის მოყვანაო.

ყმაწვილი კვლავ გაემგზავრა ქალის საშოვნელად და მივიდა დიდ-მდევეთან. დიდმა მდევემა ამისთანა დარიგება მისცა: მიადგები ერთ ორმოს, შიგა ჰნახავ ქალს, ჩასძახე: «ნულისტანელო ქალო, უუუ!» და უცბად ამოიყვანეო. ყმაწვილიც ასე მოიქცა. ორმოსთან რომ მივიდა, ჩასძახა: «გულისტანელო ქალო, უუუ!» და წაეტანა ამოსაყვანად. ქალმა შეჰკივლა: ლალატი მოსულა, მოლალატე ქვად გადიქცესო. ყმაწვილი მუხლამდის გაქვავდა. ყმაწვილმა მეორედ ჩასძახა, მაგრამ ვერც ახლა ამოიყვანა და გაქვავდა წელამდინ. მესამედ ჩასძახა. ქალმა კვლავ შეჰკივლა-ლალატი მოვიდა, მოლალატე გაქვავდესო. ყმაწვილი გაქვავდა და წაიქცა.

სახლზე დასობილ ჯოხს სამი წვეთი სისხლი გადმოვარდა. და მიხვდა ძმა მომიკვდაო, ადგა და წავიდა საძებნელად. მივიდა დევებთან, მაგრამ სამთაფენი გაუჯაერდნენ. ისევ დიდ მდევეს შეეცოდა და დაარჩა თუ როგორ ამოეყვანა ორმოდან გულისტანის გოგო და როგორ გაეცოცხლებინა გაქვავებული ძმა. ორმოდან რომ ამოიყვანა გულისტანის გოგო, დაუწყო ჯოხით ცემა. იმდენი სცემა, ვიდრე არ უთხრა: იმ ეს ხელსახოცი, წაუსვი გაქვავებულს და გაცოცხლდებაო.

წაუსვა დამ ხელსახოცი ერთ ძველ ქვას, არ გაცოცხლდა, წაუსვა ახალ ქვას და გაცოცხლდა. სამნივე შინ დაბრუნდნენ უფნებლად.

ხელმწიფემ კვლავ ინადირა მეცხვარის სახლის ახლო-მახლო. რადგან ყმაწვილი კარგი მონადირე იყო, ხელმწიფემ სტუმრად დაჰპატიჟა, ყმაწვილმა მოახსენა: ჯერ თქვენ მესტუმრეთ და მერმე მე გიახლებითო. ხელმწიფე, ესტუმრა, კარგად სვა, ქამა და უთხრა ყმაწვილს: ახლა შენ მესტუმრეო.

— მიბრძანდი და გიახლებიო. გულისტანელმა ქალმა უთხრა: იქ შენი დედა დაფლული. საკმელს რომ მოგიტანენ, არა სქამოთ არც შენ და არც შენმა დაბიო.

და-ძმა ესტუმრნენ მეფეს. სასახლეში უთხრეს: აქ ერთი ქალია დაფლული და ამოიყვანეთო. ქალი ამოიყვანეს და ყველანი სუფრაზე დასხდნენ. სადილი რომ გაათავეს. ყმაწვილმა მოახსენა ხელმწიფეს: ჩვენ შენი შვილები ვართო და ეს ქალი ჩვენი დედააო.

ამ ამბით გახარებულმა ხელმწიფემ დაიბარა ცოლები და ჰკითხა: რა გირჩევიანთ—სამასი ჯორცხენა, თუ სამასი ცუ-ლიო. უმფროსმა ცოლმა უპასუხა: სამასი ცულიო და ისიც ცულით დაჩხეს. შუათანამ უპასუხა: სამასი ჯორცხენაო. გამოაბეს კუდში და დააფლეთინეს.

კარგი ცოლშვილით ბედნიერმა მეფემ დიდ ხანს იცხოვრა, სახელოვნად და ქვრივობოლთა სანუგეშებლად.







## ჰოლმერის საუბარი

### ხ ა რ ჯ ი



აწყნარდით, უმაწვილებო! აგერ გააჩუბა კიდევ გზირმა თავისი ნალარა. დასხედით, გნებავთ, გაიგოთ, რა გამოუსცხადა ხალხს? მე გეტყვით. ხვალ ხარჯის მკრეფი მოვა და მზადა გქონდეთ ფულიო. ცუდი ამბავია, ბევრისთვის საწყენი, მაგრამ რას იზამთ? უმაგისობა არ შეიძლება. რას შემომაცქერდით, გიორგი? გიკვირს ჩემი ნათქვამი?

— დიაღ, ბატონო. წუხელ მამიჩემის სიტყვას მოვკარყური: ვინ ურჯულომ შემოიღო ე ხარჯი... ჩვენ რა გვაქვს, იმით რა მივცეთო?

— ფულის გაღება ეძნელება და იმიტომ. ვისაც აქვს, ენანება; ვისაც არა და ვაი იმისი ბრალი. მაგრამ მამაშენს შეეკარგად ვიცნობ, ჩემო გიორგი. დაფიქრებული, დარბაისელი კაცია, და რომ ჩაჰკითხებოდით, ისიც გეტყოდა, რომ უმაგისობა შეუძლებელია.

რაკი ერთად ვცხოვრობთ, —სოფლად, თემად, ერად, სახელმწიფოდ, —ზირად საკიროებათა გარდა საზოგადო საკიროებაც მრავალი გვაქვს. ხომ არ შეიძლება, რომ ყველა ჩვენგანმა ცალკე გზა გაიკეთოს. ცალკე სკოლა აიშენოს, ცალკე მეველე და მსაჯული იყოლიოს, ან ჯარი შეინახოს. გზების გაყვანა, სკოლების შენახვა და სხ. საზოგადოებრივი საკიროებაა და ამ საკიროების დასაკმაყოფილებლად საზოგადოების ყველა წევრმა უნდა გადაიხადოს ხარჯი.

ბომ იცით, რომ სწავლა სავალდებულოა ჩვენში ჩვენს სკოლაში არ იტარებს. წერა-კითხვას, ანგარიშს, ბუნების მეტყველებას სწავლობს ბავშვი, თავისი ერის წარსულს, თავის მოვალეობათა და უფლებათა შეგნებას. ეს სწავლა-საშუალებათა ადამიანის ცხოვრების გასაუმჯობესებლად და, მართლაც, საცა-კი სავალდებულო არის სწავლა, — შვეიცარიაში, დანიაში, ინგლისში, საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხალხიც უფრო შექმლბეღია, მუყაითი, ფხიზელი და კეთილ ზნიანი. დასაწყისს, სახალხო სკოლიდგან, ყველას შეუძლიან საშუალო სასწავლებელში გადავიდეს, მერმე უმაღლესში, შეისწავლოს მეცნიერების რაიმე დარგი და ღირსეულ შეილად გამოადგეს სამშობლოს. კოტა რამ უნდა გაილოს ყველა ჩვენგანმა, რომ კოტათაგან შედგენილ დიდ თანხით მართებლობა გაუძღვეს ხალხის სწავლა-განათლების საქმეს.

— მაშ სულ სკოლებზედ იხარჯება ჩვენი ფული?

— არა, ჩემო სვიმონ. წელან აკი ეთქვი: სკოლებზედ, გზებზედ, ჯარზედ, პოლიციაზედ, მართლმსაჯულებათზედ, ფოსტაზედ...

— უმთავრესი ნაწილი ხომ მაინც?

— ეგ მართებლობაზედ არის დამოკიდებული. ზოგი მარტო თავის ხალხის კეთილდღეობას ცდილობს და სახელმწიფო ხაზინის უმთავრეს ნაწილს სწავლა-განათლების საქმეს ანდომებს; ზოგი კიდევ სულ განზედ იწევს, გაფართოებას ცდილობს, და რაცა აქვს, სულ ჯარსა და იარაღზედ ხარჯავს. შინ საქმე უხდება, ის-კი გარეთ იწევს, სწორედ ჩვენი დიკვანივით: ორი დღის ვენახი ჰქონდა იმ კურთხეული-შვილს. ისე ჰქონდა მოვლილი, უკეთესი არ იქნება. ადგა და ოთხი დღის მიწა სხვა შეუმატა. შემოჰლობა, ვაზი ჩაჰყარა. მაგრამ ველარ შესძლო, ველარც ბავას მოუარა და ძველი ვენახიც წაუხდა. ასევე იქცევა ბევრი მართებლობაც: ჯარებს აგროვებს, თოფ-იარაღს და სამხედრო ხომალდებს ამრავლებს, — დავაცხრები ჩემს მეზობელს და წიველევ რასმეო. ძალიან



მშვიდიც რომ იყოს, მეზობელი, თუ თავისუფალ ცხოველებს და თავისებურ წარმატების დაკარგვა არ უნდა, ჯარები უნდა იყოლიოს, რომ ხარბს და თავხედს ღირსეული პასუხი გასცეს. როგორც დღეს ადამიანის გალობა მიგვაჩნია საძრახისად, ისე შემდეგში ერთა შორის ომი იქნება განკიცხული, მაგრამ მანამ-კი, მგელს თუ იარაღით არ დახვდი, შეგქამს, ჯარს ბინა უნდა, საკმელ-სასმელი, იარაღი, ციხე-სიმაგრენი. ამას ფული უნდა და ამ ფულსაც ყოველი ჩვენგანი იხდის, რადგან ყოველი ჩვენგანის კერას, თავისუფლებას და სამშობლოს იცავს ჯარი მტერთაგან.

მოდით გუშინდელი გაციხსენოთ, რომ უკეთ შევიგნოთ დღევანდელი. მოაგროვებდა მეფე ჯარს, იარაღს დაურჩებდა და... ის იყო და ისა! ჯამაგირს ვინა სჩივის პურს არ აქმევდა რიგზედ. რა ექნათ დამშეულთ? მიესევოდნენ ხალხს და მტერზედ უარეს დღეს აყენებდნენ. ერთს პურს წაპლგენდნენ, მეორეს-საკლავს, მესამეს-ღვინოს, მეოთხეს-რა წვითა და დაგვით შოგროვილს სამკვდროს. ვინა დმდეგობის გაწევის ვინ გაუბედავდა: აიკლებდნენ, დასწავდნენ, ცემით მოჰკლავდნენ.

დღეს რომა სთქვან,—ჯარისთვის ხარჯი აღარ გამოერთმევა ხალხს, ჯარი თითონ შეინახავს თავის თავსაო,—იციოთ, რა ვაივავლახი ატყდება; ქუდზედ კაცი წამოდგება, და ქალები უარესს იზამენ,—ერთი ორად ვადაგვახდევინეთ, ოღონდ იმ უბედურებას ნულარ გავგვიახლებთო.

ყოველთვის ასეა: წამალი მწარი ეჩვენება, ვისაც ქირი არ უნახავს; ამ ოთხი წლის წინად,—უფროს მოწაფეებს კარვად ეხსომებათ,—ცეცხლი წაეკიდა ჩვენს სოფელს და მთელი უბანი გადაბუგა. სწორედ საშინელება იყო! შო და მეორე დღეს მთელმა სოფელმა დაახლევა თავისი სახლები.

დაზღვევა ხომ იციოთ, რაც არის: სახლისპატრონი მცირე გადასახადს გაიღებს ყოველ წლივ და თუ სახლი დაეწვა, მის ფასს უკანვე მიიღებს დამზღვევ საზოგადოებისაგან. ბევრი ვეჩიინე ჩვენ ხალხს,—ცეცხლისგან სახლები დაახლევეთ მეთქი, ყური არაღინ მიჭდო, და როდესაც უბედურება გვეწვია

და გადავიბუგენით, ყველამ იგონო დაზღვევის საქმეობა და დაუყოვნებლივ საქმეს შეუდგნენ. მაგრამ გავიდა ოთხი წელიწადი, მას შემდეგ ცეცხლი იღარავის წაჰკიდებია და აქამდე უკვე გაისმის უმადური ხმები, — ნეტავი რად ვიხარავებით ტყუილ-უბრალოდ!

ხომ დამეთანხმებით, ყოველ წლივ შეუმჩნევლად რამდენიმე აბაზის გაღება სჯობია უცბად სახლის დაწვას და ცის ქვეშ დარჩენას. სწორედ იგივე ითქმის მტერთაგან ქვეყნის მფარველ ჯარზედაც: ყოველ წლივ ცოტა რამ ფულის დაკარგვა სჯობია, უცბად მტრის შემოსევას, ხალხის აწიოკებას და თავისუფლების დაკარგვას.

აგერ, ჩვენი სკოლის წინ სახელმწიფო შარა გზა მიდის. გარდა ამისა ოთხი კიდეც სხვა გზა გვაქვს ჩვენს სოფელში, სამაზრო და სასოფლო. მთელი ქვეყანა დადის ამ გზებზედ და გროშს არაფერს იხდის ზედ სჩარულისას.

ამ გზებსაც გაკეთება უნდოდა. საქირო იყო მიწის გამოყიდვა მემამულეთაგან, ქეთა და ქვიშით მოფენა და მოტკეცა, ბოგირების, ხიდების და ზოგან მთა-ხერგელის, ტუნენელის, გაქრა. გარდა ამისა საქიროა გზების რიგიანად შენახვა და წამხდარის დაუყოვნებლივ შეკეთება. საქიროა ინჟენერები, გზის მცველები, მუშები.

ამას ფული უნდა და ვინ უნდა გაიღოს ეს ფული, თუ არ იმავე ერმა, რომელიც ამ გზებით სარგებლობს. ამ ასის წლის წინად გზის ხარჯს არაფერს იხდიდა, მაგრამ არც გზები გახლდათ მაშინ. იმისთანა ოღრო-ჩოღროში კლდე-ღრეში და დიოდა უბედური ხალხი რომ არც ურემი რჩებოდათ, არც საქონელი. ერთის და იმავე ერის შვილნი ისე იყვნენ ერთმანერთს დაშორებულნი, თითქო სხვა და სხვა გვარ-ტომის ხალხნი არიან. ჩრდილოეთი დაიშვევოდა, სამხრეთში მრავალი პური იყო, მაგრამ გზები რომ არ იყო, რას იზამდნენ? ჰქონდათ და ძმათა დახმარება კი არ შეეძლოთ.

#### ი. მაჭავარიანი

(დასასრული იქნება)





# გაუმაძღარი

(ვედრებისელისა)

## II



ინ არ მოსულა დღეს კლასში? კითხა ერთ-  
ხელ კლასის დამრიგებელმა, ალექსანდრა ივანოვნა რაკიტინისამ, მორიგე მოსწავლეს,  
იბლონსკისას, როდესაც მოსწავლეები შეიკ-  
რიბნენ კლასში.

იბლონსკისამ გადაშალა კლასის ეჯრ-  
ნალი და კოტა ხნის შემდეგ დაცინვის კი-  
ლოთი წამოიძახა:

— მეროფიანცისა დღესაც არ არის!

— ვგონებ, დიდი ხანია არ დაიარება? იკითხა ალექსანდრა  
ივანოვნამ, და ხელშეორედ გადაჰხედა იბლონსკის ქალის დამ-  
ცინაე სახეს.

— ეს ერთი კვირაა, აღარ მოსულა! ისევ დაცინვით  
წარმოსთქვა იბლონსკისამ.

— მეროფიანცი ავად არის! სთქვა ვილამაც.

— უნდა ვნახო ის ბავშვი! გულმტკივნეულადა სთქვა  
ალექსანდრა ივანოვნამ, და კოტა ხნით რაღაცა ფიქრმა გაი-  
ტაცა. შემდეგ მიუახლოვდა იბლონსკის ქალთან ახლო მჯდომ  
ბავშვს და რილაცის კითხვა დაუპირა.

იბლონსკისამ ვერ შეამჩნია ახლო მდგომი ალექსანდრა  
ივანოვნა: მან გესლით სავსე დაცინვით წასურჩულა დინა  
მედვედევისას:

— დინა, შენ უყურე, როგორ გაიბერება ეხლა ჩვენი  
„გაუმაძღარი“, როდესაც მის სანახავად მივლენ.

ალექსანდრა ივანოვნამ ყველა ეს კარგად გაიგო და მითხრა: — მე არ მესმის, რად ეძახით შეროფიანს გაუმადლარს? იაბლონსკისა არ მოელოდა ესეთ კითხვას და სირცხვილისაგან მთლად გაწითლებული იდგა დამრიგებლის წინ.

— ამიხსენით, რისთვის დაბრქვით ეგეთი საწყენი სახელი? რაში შეამჩნიეთ გაუმადლობა?!

— გაუმადლარია, აბა რა არის?! გიმნაზიურ საუბრებს არა სჯერდება, — ამხანაგებისაგანაც იღებს და სკამს!

— ძალას ხომ არაყის ატანს? იღბად ამხანაგები თითონ აძლევენ? მშვილად ეუბნებოდა იაბლონსკისას დამრიგებელი.

— ყველას პირში შეტყუარებს და მისცემენ, აბა რას იზამენ?! წამოიძახა იაბლონსკისამ და თან ტირილი მოერია. ბავშვმა იგრძნო თავისი შეცდომა, და ძრიელ შერცხვა თავისი გულკეთილი დამრიგებლისა.

ალექსანდრა ივანოვნამ აუხსნა, რა ცუდია ისეთი განკიცხვა ადამიანისა, ბავშვი გაისტუმრა, თითონ-კი კლასში დარჩა და სულ სუსანაზედ ფიქრობდა.

საბრალო ბავშვი, იღბად ერთი კოტლეტი არა ჰყოფნის, უნდა უფროსსა ესთხოვო, თითო კიკა რძეც მისცენ ხოლმე, — და იმ საღამოსვე სუსანას სანახავად გაეშურა. ბევრი ძებნის შემდეგ იგი გაჩერდა პატარა, დაბალ ჩამონგრეულ სახლის წინ და ფრთხილად დაარაკუნა კარი. ცოტა ხანს შემდეგ გამოჩნდა შუა ხნის გამბდარი, დაღვრემილი ქალი. ტანთ ძალზედ დაკრებული შავი კაბა ეცვა. თავზედ შავი თავსაფარი ეხვია.

— აქა დგას შეროფიანცი? — თამამად იკითხა ალექსანდრა ივანოვნამ, რადგან მოხუცი ქალი ძრიელა ჰგავდა სუსანას.

— დიად, აქ გახლავთ. ვინა გნებავთ თქვენ?

— შე მოვედი სუსანას სანახავად, მისმა ამხანაგებმა მიტხრეს, ავიდ არისო.

— თქვენ ჩემი ქალის კლასის დამრიგებელი ხომ არა

ბრძანდებით? — ღიმილით შეეკითხა სუსანას დედა ალექსანდრე ივანოვნას, და თავაზიანად მიიწვია სახლში.

— ძრიელ მოხარული ვახლავართ, რომ ჩემ სახლშიდგხედდეთ; თქვენი ბევრი კარგი გამოგონია; ჩემი სუსანა დიდოსმადლობელია თქვენი; მობრძანდით, აი აქ დაბრძანდით — გვატყუებოდა სუსანას დედა სტუპარს.

ალექსანდრა ივანოვნამ ოდნავ განათებულ ოთახის კუთხეში ძლივს შეამჩნია პატარა ტახტი და ზედ ჩამოჯდა.

პატარა, ვიწრო და დაბალ ფანჯრებს ყვითელი ჩითის ფარდები ჰქონდა ჩამოფარებული.

რამოდენიმე საჯდომ-ჩახეული სკამი, გადახეხილი მაგილა და დაძველი ტახტი შეადგენდა ოთახის მოწყობილებას. ტახტზედ გაშდარი, თვალზე ჩაცვივნილი, სახე გაყვითლებული ბავშვი იჯდა. ტახტზედ ძველი ჩითის კაბა ეცვა.

— სუსანა სადღა არის? იკითხა ალექსანდრა ივანოვნამ.

— წევს შეორე ოთახში, სევდიანად მიუგო დედამ.

— უკედ არ არის? იქნებ ექიმი სჭირდება ან წაშალი?

— უი შენ გენაცვალე? ამოიოხრა სუსანას დედამ, მართამ: რას უშველის ექიმი? ჩემი შვილები გასაწყლებული და გაქირვებული ცხოვრებისაგან არიან დატანჯულნი, ავადაციმიტომ ხდებიან — განაგრძობდა ალექსანდრის მართა, — ძრიელ გაქირვებულნი ვართ! ცხოვრება ისე გვიქირს, რომ არ ვიცით, რა გზას ვეწიოთ. ჩემი ქმარი კონდუქტორად გახლდათ; ერთობ მძიმე სამსახური იყო; დილის ექვსი საათიდან ღამის თორმეტ საათამდე ფეხზედ იდგა. ჯამაგირს სამ თუმანს აძლევდნენ თვეში, მაგრამ არასოდეს სრულად ეს ფული შინ არ მოჰყოლია: ხშირად ჯარიმას ახდევინებდნენ, ჯამაგირს უჭერდნენ, — ასე რომ სახლში ხან ოც მანეთს მოიტანდა, ხან ნაკლებს. მოდი და იცხოვრე ამ დროში, როდესაც ყველაფერი მამასისხლია და ფასობს. ცხლა კიდევ უარეს მდგომარეობაში ჩავეცივდით: ჩემმა ქმარმა ეს ადგილიც დაკარგა; აი ეს ორი თვეა, რაც უსაქმოდ დავარება, არც იცის, რა გზას ვეწიოს. ოჯახის ჯავრი ახრჩობს, წაფა, ივლის, ივ-

ლის, დაღლილ-დაქანცული მოვა სახლში, გულ შეწუხებულად დაეგდებო და დედაკაცივით ტირილს იწყებს... აი როგორცა ხედავთ, ტომრებსა ვყერავ და ამითი ვცხოვრობთ. როდესაც ასტლიკი ავად გამიხდა, ექიმს დაუუძახეთ: სისხლ-ნაკლეო, გვითხრა: კვერცხი რძე და ხორცი აქავეთო, გვიბრძანა... საიდან უნდა ვიყილო ყველა ეს, როდესაც დღეში აბაზხედ მეტს ვერა ვშოვულობ?...

სუსანა თავის საუბრეს მოიტანდა ხოლმე გიმნაზიიდან და დას აქმევდა; ეხლა ეს ერთი კერაა, რაც ჩემი ასტლიკი თითქმის უკმელი მყავს. გუშინა მკითხა: „დედა, როდის წავა სუსანა გიმნაზიაში? მე კოტლეთი მინდაო...“ ღმერთო ჩემო, რომ იცოდეთ ჩვენი უბედური ცხოვრება! წაივლო თავზედ ხელები მართამ და მსაჯილი კრემლები გადმოსცივიდა.

ალექსანდრა ივანოვნა გულ ჩათუთქული უსმენდა საბრალო დედის მოთხრობას. შავმა ფიქრებმა შეიპყრეს გულკეთილი აღამიანი.

— სად ვიყავი აქამდის? როგორ დამემართა, რომ დღემდის პატარა სუსანას ასეთი გაჭირვება არ ვიცოდი? — უსაყვედურებდა თავის თავს მეტად დანალულიანებული ალექსანდრა ივანოვნა. მართას გულიდან ამონახეთქა ტირილი ათასნაირ ფიქრსა ჰგვრიდა მას.

— ღმერთო ჩემო! რა უბედურება ტრიალებს ამ ქალის ოჯახში! ფიქრობდა ალექსანდრა ივანოვნა: ბავშვები, რომელთა აღრზდა-განათლება ჩვენ გვაბარია, სიმშლით იხოცებიან თურმე... ჩვენ კი არაფერი ვიცით! განა ესე უნდა ვიცნობდეთ ბავშვების შინაურ ცხოვრებას?! ნუ თუ მარტო გიმნაზიის კერ ქვეშ უნდა გვაინტერესებდნენ მოსწავლეები?! არავინ ჩვენგანმა არ იცის ჩვენი მოსწავლეების ოჯახის მდგომარეობა. ვასწავლით ბავშვებს, ვუტენავთ თავს სხვა-და-სხვა ცოდნით და ის კი არ ვიცით, რომ მშვიდები არიან! გვაგიწყდება ის ქეშმარიტება, რომ ხოლო მაძლარი და ჯანმრთელი ბავშვი მოგრევა სწავლას და არა მშვიერი და ღონე მიხდილი.

გაკვეთილებს ვათავებთ სახლში ვბრუნდებით, და აღარათერსა ვფიქრობთ გიმნაზიაზედ. განგებ ვივიწყებთ, რომ ამ



გიმნაზიისათვის არა ერთს დედას და მამას ჩაუბარებია ვისი შვილის ბედ-იღბალი, ჩვენი პირადი ეგოიზმის ბრალია, რომ არაფერსა ვშველით და არა ვზრუნავთ მშვიერ-მწყურვალ სუსანებისათვის.

ამ დროს მეორე ოთახიდან ხველა მოისმა, რომელმაც ალექსანდრა ივანოვნას ფიქრები შესწყვიტა.

სუსანა სიზმარში იყო.

ვითომ გიმნაზიაში მიდიოდა.

ეს ექვსი დღეა, რაც სუსანა გიმნაზიაში არა ყოფილა. ექვსი დღეა რაც მისი საყვარელი ასტლიკი მშვიერია. ექიმმა დააჯრა იგი ტახტზე და არ უშვებს გიმნაზიაში, მაგრამ იმ, მან გადასჭრა თოკი, გავარდა გარეთ და გაეშურა გიმნაზიისაკენ, საიდგანაც დღესვე მოუტანს თავის დას ქალაქში ვახვეულ კოტლეტს. სუსანას უცბად გამოეღვიძა.

გიმნაზიის მაღალი გაპრიალებული კიბეების მაგივრად ისევ თავისი ბნელი, ცივი და ნოტიო ოთახი უდგა თვალ წინ. თავს შავი, ნახევრად სველი ქერი დაჰყურებდა.

სუსანას გამოღვიძებისათანავე ხველა დააწყებინა და სწორედ ამ ხველამ მიიქცია მეორე ოთახში მყოფთა ყურადღება.

— ვგონებ, სუსანამ გამოიღვიძა! — წასჩურჩულა მართამ ალექსანდრა ივანოვნას: — ხომ არ ისურვებთ მის ნახვას?

— როგორ არა! მიუგო მან, უცბად წამოხტა და გაჰყვა მართას მეორე ოთახში. შესვლისათანავე საშინელი ნესტის სუნი ეცა. კუთხეში, პატარა ტახტზედ, ძველ საბან ქვეშ იწვა სუსანა. სახის არაჩვეულებრივი სიწითლე ამტკიცებდა, რო ბავშვს დიდი სიცხე ჰქონდა.

— გამარჯვება, სუსანა, რა დაგემართა?

ავადა ხარ? — მიესალმა ალექსანდრა ივანოვნა, მოჰკიდა ბავშვს ხელი და შუბლზედ აკოცა.

სუსანას ძრიელ გაუხარდა ალექსანდრა ივანოვნას დანახვა და ღიმილით უპასუხა.

— დიად, ავად გაეხდი!

ბავშვს დიდი სიცხე აქვს, ფილტვების ანთება ხომ არა აქვს? — გაიფიქრა ალექსანდრა ივანოვნამ.



— დაბრძანდით, აი აქეთ, ჩემს ახლოს, ღიმილში გეხიციან და ტყეებში სუსანა თავის საყვარელ დამრიგებელს.

— შენ გინდა, რომ მე შენ ახლოს დავჯდე? — ძალიან კარგი! უპასუხა ალექსანდრა ივანოვნამ და ჩამოჯდა იქვე ბავშვის ლოგინზედ.

— ახალს რას შეტყვით, ალექსანდრა ივანოვნა? — ეკითხებოდა სუსანა.

— დიდს არაფერს. გუშინ ფრანგულის გაკვეთილზედ ჩვენს კლასში უფროსი შემოვიდა, მოისმინა და კმაყოფილი დარჩა.

— ვისა ჰკითხეს?

— ფირუშოვისას და ლაპშინისას. ორთავეს ხუთ-ხუთი დაუსვეს.

— მადლობა ღმერთს! სიაზოვნებით წარმოსთქვა ავადმყოფმა.

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ შენ როდისღა გვეწვევი? ამხანაგები ყოველ დღე გკითხულობენ. სკუბჩინსკისას შენი ნახვა უნდოდა, მაგრამ არ იცის, სადა დგებარ.

— დედა არ მიშვებს! — საყვედურით წარმოსთქვა სუსანამ და თან დედას გადაჰხედა, რომელიც იქვე ხელ-გულ დაკრეფილი იდგა.

— შე სულელო, მე-კი არა, შენი ავადმყოფობა არ გიშვებს! მწარე ღიმილით მიუგო დედამ.

— არა გიშავს-რა, ჩემო სუსანა, მოითმინე ცოტა კიდეც, რაისა ბორისოვნა გეწვევა და მალე ფეხზედ დაგაყენებოსო, ამშვიდებდა სუსანას ალექსანდრა ივანოვნა.

რაისა ბორისოვნა გიმნაზიის ექიმი იყო.

— მე ძრიელ მიყვარს რაისა ბორისოვნა. — აღტაცებით წამოიძახა სუსანამ.

ალექსანდრა ივანოვნამ აღარ შეაწუხა ლაპარაკით ავადმყოფი ბავშვი, ადგა, გამოეთხოვა მართას, სუსანას შუბლზედ აკოცა და გაეშურა შინისკენ.

### III

გავიდა ერთი კვირა, რაც ალექსანდრა ივანოვნამ სუსანა ნახა.



ცივი ზამთრის დღე იდგა. ამღვრეული, მომტირალის ცუდ უხვად აგზავნიდა თოვლს, რომელიც გავენტილი ბამბასავითა ცვივოდა ქუჩებში. წინა ღამეს დიდი თოვლი ჩამოეყარა; ისეთი ქარ-ბუქი იდგა, რომ ქუჩებში მიმოსვლა ვანდლებულიყო. ამ გარემოებამ გიმნაზიის უფროსები აიძულა სწავლა ადრე შეეწყვიტათ: მოსწავლეები მესამე გაკვეთილის შემდეგ დაითხოვეს.

მეორე კლასში მესამე გაკვეთილიც თავისუფალი ყოფილიყო ამ დღეს, რადგან მასწავლებელი არ მოსულიყო. ბავშვებს უხაროდათ ეს და იქა-აქ თავმოყრილნი ლაპარაკობდნენ.

რასა ბორისოვნას ქალი, პატარა, თვალუფუნა რიტა მაგიდაზედ შესკუპულიყო, ფეხები ძირს ჩამოეკიდნა და ამხანაგებს რაღაცას უამბობდა. ბავშვები შემოჰხვეოდნენ და ყურებ დატკეტილნი უსმენდნენ. იმათი დანიღვლიანებული სახე ამტკიცებდა, რომ რიტას მოთხრობა სასაცილო არ იყო.

— რამოდენა ხანია, დედა ჩასციებია მამას. „უშოვნე სადმე იმ საწყალ მეროფიანცს ადგილი, მთელი ოჯახი სიმშლით იხოკებო!“ მამამ ერთს თავის ნაცნობს წერილი მისწერა და სუსანა მეროფიანცის მამას ადგილი უშოვნეს: ეხლა ის სამსახურში არის და თვეშიდ 60 მან. იღებს. სუსანას ოჯახი ეხლა უკეთ შეიქმნა, საკმელი ყოველ დღე აქვთ. სანამ სუსანას მამა ადგილს იშოვიდა, საკმელი არა ჰქონიათ, მშვიერნი ყოფილან, ავადაც იმიტომა ხდებოდნენ თურმე; დედას უფასოდ მიჰქონდა მათთვის წამლები. გახსოვთ, იბლონსკისა რას ეძახდა სუსანას? „გაუმადლარიო!“ იცით, რაში ყოფილა საკმე? თურმე საწყალი სუსანა თავის საუზმეს თითონ კი არა სჭამდა, სახლში მიჰქონდა და თავის პატარა დას აკმევდა. ჩვენ-კი სუსანას გაუმადლარს ეძახდით!“

— ამბობენ, ალექსანდრა ივანოვნა შველის სუსანას დედ-მამას, ჩვენი ბუფეტტიდან უგზავნიან საკმელსაო“, დაუმატა რიტას მოთხრობას სკუბჩინსკისამ რომელსაც თვალები ცრემლით ავსებოდა

— სუსანა სიმშილისაგან გამხდარა თურმე ავადმჯობელები გრძო პატარა რიტამ; დედამა სთქვა, ფილტვების ანთება აქვს, რადგან დიდი სიმშილი გამოუვლიაო. დედა დღეში ორჯერ დადის იმის სანახავად. დედას ძრვიელ ეცოდება «გაჭირებულნი».

რიტას ყურს უგდებდა აგრეთვე იაბლონსკისა. შორი ახლოს მჯდომი იგი როგორღაც გაშტერებული იყურებოდა და ძველებურად დამცინავი სახის გამომეტყველება აღარ ემჩნევოდა...

ერთი თვის შემდეგ სუსანა კარგად გახდა და როდესაც გიმნაზიაში მივიდა, ყველა ამხანაგები მზიარული სიცილით და კოცნით მიეგებნენ. თვით იაბლონსკისა, რომელიც წინანდ ყოველდღე დასცინოდა, ეხლა სიყვარულს უცხადებდა: ცდილობდა, წინანდელი თავისი დანაშაული მოენანა. ასე გასინჯეთ, აუარებელი გადასაყვანი სურათებიც-კი აჩუქა სუსანას.

იმასაც-კი ეცადა, რომ სუსანა მის გვერდით დამჯდარიყო.

ყველა ამით ნასიამოვნები სუსანა სიყვარულით შესცქეროდა თავის ამხანაგებს და რუსული ენის მასწავლებელს, მარია მიხაილოვნასაც. შემოვიდა თუ არა მარია მიხაილოვნა კლასში, ბავშვებმა თითქმის ყველამ ერთად მიახარეს სუსანას მოსვლა. გულკეთილს მოხუც მარია მიხაილოვნას, რასაკვირველია, ესიამოვნა ბავშვის მოსვლა, გაისწორა თავისი სათვალეები და დაუწყა შეგირდებში ძებნა.

— აი, მარია მიხაილოვნა, ალტაცებით უჩვენებდა იაბლონსკისა: მეროფიანცისა ეხლა ჩემთანა ზის!

— აა! გამარჯვება, სუსან! რას იმალები? მიკმართა მას მარია მიხაილოვნამ. დამენახვე, მოდი! როგორა ხარ? კარგადა ხარ?

სუსანა მორცხვად წამოდგა და თავდალუნულმა მიუგო მასწავლებელს!

— დიად, ეხლა სრულიად კარგად გახლავართ.

— მადლობა ღმერთს! მხოლოდ გაუფრთხილდი წელს არაჩვეულებრივი ცივი ზამთარია და არ გაცივდე. და-ჯექი!

— რა გქონდათ მოსამზადებლად? — შეეკითხა მარია მიხაილოვნა ბავშვებს.

მორიგე რიტა ზონნერისამ მასწავლებელს ყველაფერი დაწვრილებით მოახსენა.

— ძალიან კარგი! მიუბრუნდა მარია მიხაილოვნა კლასს: ამოიღეთ რვეულები და რცხელისთვის მოამზადეთ, დასწერეთ. არ დაგავიწყდეთ აღნიშნოთ, მერამდენე ნომერია ეს სავარჯიშო?

— მეთოთხმეტე, ერთხმევ წამოიძახეს ბავშვებმა.

ერთი წუთის შემდეგ ბავშვები უკვე სწორდნენ სავარჯიშოს.

### გიგო ჯაფარიძე





# წელიწადის დღიურიდან

## თავი II

### ღვინი და ცეკვა



მერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! ეს რა ცხოვრებაა! ჰვატარა ბავშვები ქვეყნად თითქო იმიტომ იბადებოდნენ, რომ ყველაფერი აიტანონ! და ასე იტანჯონ! მთელი კვირაა, ჩემს დღიურში ერთი სიტყვაც არ ჩამიწერია.

საწყალო დღირო! შენა ხარ უკეთესი ნუგეში ჩემი ცხოვრებისა მე შენ მოგანდობ ყოველს ჩემს უბედურებას! თუმცა ძლიერ მეზარება სკამზე ჯდომა, მაგრამ შენი გულისათვის ყველაფერს მოვითმენ.

ცული არაფერი მიქნია. მე მხოლოდ შევნიშნე ჩემი დები რაღაცას აწერდნენ ყმაწვილკაცების ფოტოგრაფიულ სურათებს, რომლებიც ჩვენსა დადიან და ჩუმაღ წავიკითხე. აი, მაგალითად, რა ეწერა: „მაიმუნის სურათი“, „აჰ, საყვარელია!“ „საზიზღარი, მანქია“, „რა თვალებია!“ და სხვა და სხვა. ასეთი სურათები ზედწარწერებით ჩუმაღ ოცამდე მოვაგროვე და ერთ მშვენიერ დილას ყველას კუთვნილები-საებრ ჩამოვურიგე. შივადგები ახალგაზღის ბინას, ჩამოვრეკ ზარს, ვუტოვებ სურათს, და მივდივარ მეორესთან. ამ ნაირად მშვიდობიანად ჩამოვიარე ყველანი. უჰ, რამდენი ვიხარხარე, როცა მივეცი სურათი ზედ წარწერით: „მაიმუნის სურათი“. ძლიერ გარისხდებოდა ახალგაზღა ჯენტლმენი. იქნება, კიდეც იტირა! რა ალიაქოთი ატყდება მეთქი, ვფიქრობდი, და არც შევმცდარვარ.

ყოველივე უბედურება იმ დილიდან დაიწყო, რა დღესაც ის უბედური ფოტოგრაფიული სურათები დავარიგე. ჩემი დები დედას მოსვენებას არ აძლევდნენ, ერთს საღამოს ლხინი გავვიმართეო. დედაც დასთანხმდა; ჩემი დები სიხარულით ხტოდნენ და სტუმრების სიას ადგენდნენ. ისეთ ფაციფუცში იყვნენ, როგორც ფუტკრები, მე კი, როგორც შეეფერება ტკვიან ბავშვს სკამზე წყნარად ვიჯექი. მაინც დილას აქვთ, რაც ის საძაგელი სურათები დავარიგე, ძალიან დავიღალე. უცებ ზარი ჩამოარაწკუნეს. სტუმრები მოვიდნენ. მერე ვინ გგონიათ? მამიდა ბეტსი. ხოპპერტაუნში ცხოვრობს და წელიწადში ორჯერ დადის ჩვენსა სტუმრად. ჩემს დებს ძლიერ ეწყინათ; იციან, რომ მამიდა ერთ კვირაზე ნაკლებ არ დარჩება და მაშასადამე იმათ ლხინსა და ცეკვასაც დაესწრობა. ლილი დაიღრიჯა, როცა მისი მოსვლა გაიგო.

—რა საძაგლობაა!—სთქვა მან.—მამიდა მუდამ უდროოდ დროს მოდის!

—საცეკვაო საღამოზედაც უთუოდ დარჩება თავის მწვანე ძველებური კაბით,—დაუმატა ბეკკიმ.

—მთლად შეგვარცხვენს,—სთქვა სუზიამ.

ამბობენ, მაშიდა ბეტსი ძალიან მდიდარიაო; მაგრამ ის მართლა ისე ძველებურად ირთვება, რომ გვეგონება, ნოესთან ყოფილა კიდობანშიო.

გავიგე, რომ ჩემს დებს არა ნებავდათ მაშიდა ბეტსის დარჩენა, და ქუეში დამიჯდა. მართალი მოვახსენოთ, ცოტა არ იყოს სინილისი მქეჯნიდა იმ სურათების წყალობით. გესმისთ? უწმინდური სინილისი კი—უბედურებაა! თითქო მძიმე ქვა გაწვეს გულზე! ძლიერ მწყინდა, ისე სულელურად რომ მოვიქეცი, მაგრამ წარსულს ხომ ველარას დავაბრუნებდი? ჩემი ცოდვის მცირედი ნაწილი რომ მაინც მომეშორებინა, გადავწყვიტე ჩემი დები გამეხარებინა.

ჩაი რომ გავათავე, მაშიდა ბეტსი ცალკე ოთახში ქვევით ჩავიყვანე და მოვახსენე:

— გინდათ გაახაროთ თქვენი ძმისწულები?

— როგორ?

— აი როგორ: წადით, თუ ღმერთი გწამთ, ჩვენ საცეკვაო საღამოს ნუ დაესწრობით! ჩემს დებს არ უნდათ, რომ იმ საღამოს თქვენც დაესწროთ. მე იმათ ლაპარაკს ყური მოვკარ. მაგრამ გთხოვთ, არამცა და არამც არ უთხრათ, რაც მე ვითხარით, და ხუთშაბათის წინა დღით წაბძანდეთ თქვენთვის მშვიდობით. მეც ძალიან, ძალიან მადლობელი ვიქნები.

სწორედ საოცარიო, რად გაჯავრდა მაშიდა; მე ხომ ზრდილობიანად ველაპარაკებოდი. აი კიდევ რა, ჩემს თხოვნას ყურადღებაც არ მიაქცია და ყველაფერი ქალებს უთხრა. მეორე დილას, ადგა თუ არა, ჩაალოგა ბარგი და წავიდა. „ამას იქით ფეხსაც არ შემოვდგამ თქვენსა“.

არ გავსვრი შენს წმინდა ფურცლებს, საყვარელო დღიურო, არ ვიტყვი, როგორ დამსაჯეს, მაგრამ მომხედა კი რიგიანად. წკებლებიც არ დაიშურეს. ღმერთმა უშველოს პოლლის: ისეთი რბილი საჯდომი გამიკეთა სკამზე ძველი ბალიშისა. სახლიდან გარედ ცხვირი ველარ გამიყვია: მეშინია, ბავშვებმა არ გამიგონ, რა უბედურებაც მეწია. დრო საზარლად გრძელდება. რობინზონი ძლიერ მოწყენილი იქნებოდა მარტოკა კუნძულზე. მე რომ დიდი გავიზრდები და



შვილები მეყოლება, არაფრის გულისთვის არ მოვექცევი ისე მკაცრად. როგორც მე შეპყრობიან; არ დავსჯი ტყუილებრად. დღეში სამჯერ ვაქმევ ტკბილეულს და უფროს დებს მის ლანძღვას აფუქრძალავ.

საშინლად მაწუხებდა ის ფოტოგრაფიული სურათები. ყოველ წამს მოველოდი, ან ახლა გამოძვლავნდება ჩემი ცელქობა, ან ახლა შეთქი. დადგა ხუთშაბათი. პოლლი ტიკინასაფით მოიკაშმა. მეც ახალი ტანისამოსი ჩამაცვა; ახალი ყელსახვევი შემომახვია და ცხვირსახოცზე მშვენიერი სუნნელოვანნი წყალი მიპკურა. მთელ საათს მარიგებდნენ, ჩემი დები, თუ როგორ უნდა მოვექცეულიყავ საღამოზე, თუ არ მინდოდა ადრე დასაძინებლად გავეგზავნეთ. „წადი ახლა ქვევით დარბაზში“-ო, — მითხრეს.

დარბაზში სანთლებს ლაპლაპი გაქქონდა, ვაზები სავსე იყო თაიგულებით და როიართან უკვე დამკვრელი იჯდა. იქიდან სასადილო ოთახში გავექქანე. პირზე ნერწყვი მომადგა, როცა ისეთი მშვენიერი საქმელები დაფინახე. ტკბილ-ტკბილი ხაქაპურები, ფორთოხლები, შემწვარი წიწილები საღათით... ბოლოს ქალებიც ჩამოვიდნენ. საუცხოვოდ იყვნენ გამოწყობილნი! ტანზე თეთრი ტანისამოსი ეცვათ, თავი ვარდებით ჰქონდათ მორთული, თვალები უბრწყინავდათ, თმა გაშლილი... განა მთელ დღეს ტყუილად იხუჭუჭებდნენ. სტუმრებიც მოვიდნენ. ჩვენი დაბის საუკეთესო საზოგადოება შეიკრიბა, მაგრამ მარტო ქალები; მამაკაცის ქაჰანებაც არ იყო. შესრულდა ცხრა საათი. კვალერთაგან მოვიდა მარტო ექიმი მური, სუზიას საქმრო. დების გული მწუხარებამ მოიცვა. მე კი ვზივარ ჩემი გაპრიანებული წაღებით არც მკვდარი, არც ცოცხალი.

დამკვრელი თუმც გულმოდგინედ უკრავდა როიარს, მაგრამ არაფინ თამაშობდა. ორი-სამი ქალი კი შემოპროწილდა ერთმანეთთან, მაგრამ სჩანდა, რომ ესეც მოსწყინდათ. საათმა ათის ნახევარი დაჰკრა!.. ოჰ, ნეტა მიწა გამსკდომოდა და შიგ ჩავარდნილყავ!..

სტუმრები რალსაც ჩურჩულებდნენ. ჩემი დები წყალში ჩაცვივნულებივით დადიოდნენ. მაგრამ აი ზარის ხმაც—სუყველას სახე გაუნათლდა; შემოვიდა პოლლი და გადასცა ჩემს დებს სურათი. მაგრამ ნეტა არ ენახათ! საბოდიშო ზარათი კი არ გახლდათ, ეს იყო ერთი ჩემგან ვაცემული ფოტოგრაფი-

ული სურათი. კიდევ ზარი—კიდევ იგივე! წარმოიდგინე ჩვენი ყოფა! ოცჯერ მიინკ ჩამოჰკრეს ზარი; სურათები სულ ბერივით მოგვეყარეს! ბოლოს ორი ყმაწვილი კაცი მოვიდა. მე მაშინ კი მივხვდი, ვინც ბრძანდებოდნენ. პირველის სურათზე ეწერა: „რა საყვარელია!“ და მეორისაზე—მეწალის ნოქრის სურათზე: „რა თვალგაბია!“

ცეკვა გაიმართა, სამი ყმაწვილი და ხუთი ქალი თამაშობდნენ, სანამ არ დაიქანცენ. ვახშაში ჩინებული იყო, მაგრამ მოწყენილი, ჩემი დები ცრემლებს ძლივს მალავდნენ. მეც საშინელ მწუხარებასა ვგრძნობდი, ასე რომ ბოლომდე მტკბარყინულამდე ველარ შევიკავე თავი.

— რომ ვიცოდე, ვინ გვიხუმრა ასე საძაგლად, მოვკლავდი!—ეუბნებოდა სუზიანა ექიმ მურს.—მოვკლავდი! რა ნაირი ბრიყუელი ხუმრობაა! თავი მოგვკრეს! აქედან სადმე სხვა ქალაქში უნდა გადავიდეთ. თითოთ საჩვენებელი შევიქენით!

ექიმი მური პირდაპირ თვალბეჭდებში მიყურებდა და სუზიას კითხვა:

— ეგება ჟორჯიკმა იცოდეს?

— მე არაფერი ვიცი! შეიძლება ამაში დამნაშავე იყოს ჩემი ამხანაგი ტოუსერი. იმან რამდენიმე სურათი მთხოვა გადასიღებად და შეიძლება ქუჩაში დაებნა.

— მაშინ სურათები შენა გქონდა? ახლა-კი ცუდად არის მეთქი, ჩემი საქმე; გავიპარე და ლოგინში ჩავწექ. ვიწუქი მაგრამ რა ეშმაკი დამაძინებდა?! სტუმრების წასვლაჲ გავიგე. ვიცოდი, რომ დილით ცემა არ ამცდებოდა, მე კი ჯერ პირველი ნაცემიც არ დამშუშებოდა. არა, სჯობია გავიპარო. მომაგონდა, რომ მაშიდა ბეტსის სახლი სულ ოთხი ხუთი საათის სავალია ჩვენგან! დილით აქ ვიქნები; ყულაბში ორი დოღღარი მაქვს, სამგზავროთ მგყოფა... უთუოდ გავიპარები. დღესავით ნათელი ღამე იყო—მთვარიანი. ავდექი, ჩუმიად ჩავიცვი, ფული ჯიბეში ჩავიდე, კიბეზე თავივით ჩავიპარე, გავაღე კარი და მოვცხრილე. გათენებისას რკინის გზის სადგურზე ამოვყავი თავი. მატარებელი დასაძრავად მზად იყო, ორთქლმავალი ქმინავდა სქელ, შავ კვამლს ბოლქვ-ბოლქვად ისროდა. მე შევძვერი ერთ ახილ ვაგონში. ზარი ჩამოჰკრეს და მატარებელიც დაიძრა.

„მშვიდობით, საყვარელო მეგობრები! აწი აღარ შეგაწუხებთ თქვენ ცელქი ჟორჯიკი, ველარა ნახავთ მას, სანამ ქარი მზა-

ლი არ გაივლის.“ მატარებლის რყევამ ძილი მომშვედრა, სწრაფად წავიძინებ, და ხეალ ვიამბობთ, რაც შემდეგ შემემშინება.

— ეს ვინაა აქ?— მომესმა ვილაცის ხრინწიანი ხმა.

— მე ვარ, ბატონო, პატარა ეორჯიკი. ადგილის ფასი გნებაეთ? ინებაეთ—აჰა ჩემი ჭისა, შიგ ორი დოლლარია.

— აქ რა გინდა შენ—შკაცრად შკითხა ისევ იმ ხმამ.

— მე გამოვიპარე, ბატონო, შინიდან, რადგანაც მუდამ უბედურება შემთხვევოდა. მე, ბატონო, ჩემი დების ზედწარწერებით ფოტოგრაფიული სურათები დავუბრუნებ მათ პატრონებს და ამიტომ გალახვის მიპირობდენ. თქვენ, ბატონო, აქაური სადგურის უფროსი უნდა ბძანდებოდეთ.


— გამოიცან, გამოიცან!— შითხრა სიცილით ნაცნობმა ხმამ. სად ჩამოგვია ახლა, ბალოო?

— ხოპერტუანში. სანამ არ გავიზღებთ, იქ ვიცხოვრებთ, თორემ ჩემი დები ვერასოდეს ვერ გათხოვდებიან.

(შემდეგი იქნება)

ი. ნიკოლაიშვილი





## სამუღლო პეყანა

ბ) ერუშეთა, არტანა, კოლა სუღურეთა.



ტკვრის სათავის ქვეყნები, ან ზემო ქართლი: ერუშეთი, კოლა და არტანი ძველის-ძველად ერთ საერისთოს შეადგენდა. ამ საერისთოს ეკუთვნოდა აგრედვე ჯავახეთი. ბაგრატიონთ გვარი რომ გამეფდა საქართველოში (VI საუკუნე), ზემო ქართლი გაიყო ორ საერისთოდ: წუნისა და არტანისად. ერუშეთ-კოლა-არტანის თავი ქალაქი იყო არტანი, დღევანდელი არდაგანი. სამშობლო ისტორია ამბობს, რომ არტანი ააშენა მცხეთის მამასახლისის შვილმა ჯავახმა.

ერუშეთს ეკირა მტკვრის მარცხენა ნაპირი არტანიდან მოყოლებული მონასტერ ვარძიის სირონამდე. მტკვრის მარცხენა ტოტი სამღერეთის, ან ერუშეთის წყალი შუაზე ჰყოფს ერუშეთს. რუსულ კარტაზე სამღერეთის სახელით არც ერთი მდინარე არაა მოხსენებული. გაჭრა ეს წმინდა ქართული სახელი, როგორც ბევრი რამ ქართული. სოფელ ნაქალაქევის ახლოს აღნიშნულია რუსულ კარტაზე მდინარე ხანის-წყალი (ხანი-ჩაი) და ალბად ეს მდინარე თუა ისტორიული სამღერეთის, ან ერუშეთის წყალი.\*)

\*) კარგს იხამენ არდაგანის ოლქში მცხოვრები ქართველები, თუ აიღებენ ვაზუშტისა და რუსულ ხუთ ვერსიან კარტებს და შედარების შემწეობით აღადგენენ ძველ ქართულ სახელწოდებას მთებსას, მდინარეთა და დაბა-სოფელთა და გამოუგზავნიან ამ ძვირფას ცნობებს „ნაკადულს“ ჩვენთვის გადმოსაცემად.

ერუშეთის სამზღვრები: აღმოსავლით მტკვარი, დასავლით არსიანი, ჩრდილოთ ერუშეთის მთა და სამხრით არსიანის შტო.

არტანისა: აღმოსავლით ყარსის მთის შტო, დასავლით არსიანი, ანუ ქვა-ყრილი, ჩრდილოთ მცირე შტო არსიანისა და სამხრით მცირე მთა ფოსოს (ჩუღურეთი) და კოლას შორის.

კოლასი: აღმოსავლით ყარსის მთა, დასავლით ქვა-ყრილი, ჩრდილოთ მცირე მთა არტანსა და კოლას შორის და დასავლით იგივე ყარსის მთა, რომელიც იწყობა ქვა-ყრილიდან და მიემართება ჯავახეთის ნიალის-ყურამდე.

არტანს და კოლას მტკვარი ზედ შუა წელზე ჩამოუდის. ყარსისა და ქვა-ყრილის მთებიდან მრავალი დიდი და პატარა ხეობანი ერთვის მტკვარს. მტკვარი აქ მჩქეფარე და მარდია, მოდის ღრმად დაცემულ ხრამში. ალაგ-ალაგ შევიწროებული კლდეთაგან ისე ჰქუხს, როგორც განთქმული თერგი და ზვირთებს ისე მალლა ისერის, გეგონება ზეცას უნდა ააწვდინოს ქაფად ქცეული ზვირთებიო. მშვენიერი სანახავია გაზაფხულზე აღიდებული მტკვარის სიციცხლით სავსე იგი წიაგავს მაშინ ფაფარ აყრილ ლომს.

წინად, საქართველოს მეფეების დროს და შემდეგ ოსმალების ბატონობის დროს, ერუშეთ-კოლა-არტანს საკმარისი გზები ჰქონდა. არსიანის მთით ერუშეთიდან გზები მიდიოდა შავშეთს და ტბეთს, ხოლო ერუშეთის მთით ფოცხოვს და სამცხეს. არტანიდან გზა გადადიოდა ბანას და არტანუჯს (რუსები არდანიუქს ეძახიან) ქვა-ყრილის ქედით. კოლიდან გზა მიდიოდა ყარსის ადგილებში.

დღევანდელ არდაგანის ოლქს ორი ქვაფენილი (შოსსე) გზა აქვს. ერთი მიდის ქ. ახალქალაქიდან და გაივლის სულდას, კარწახს, ზურზუნას და შედის არტანში, ხოლო მეორე იწყობა ქ. ახალციხესთან, გაივლის ფოცხვის ხეობას, გადალახავს ხანიორის უღელტეხილს და შემდეგ ჩადის არტანს.



აქედან გზა გადადის ქ. ოლთისში, რომელიც ზედ მდინარე  
თის სამზღვრის პირზე სდევს.

ბუნება ერუშეთ-კოლა-არტანისა ისეთივეა როგორც ჯავახეთისა. რადგან ამ ქვეყანას მაღალი მდებარეობა აქვს, ზამთარში დიდი თოვლი მოდის და ძრეულ დიდ სიცივეს იჭერს. აქაური ყინვა არაფრით ჩამოუვარდება რუსეთის მკაცრ სიცივესა და ყინვა-ტევრას. მაღალ მდებარეობის წყალობით ზაფხულში ჰავა გრილია, ხოლო ხანდახანობით დიდი მწვეავი სიციხეები იცის. საზოგადოდ აქაური ჰავა საღი და მარგებელია. ციებ-ცხელება ვაგონითაც არ გაუგონიათ აქაურებს.

ჯავახეთისავით აქაც მოიპოვება ტბანი. ყველაზე დიდი ტბა ჩილდირისაა, რომელსაც უქირავს 11.953 დესეტინა, ან 23.906 ქართული დღიური. ჩილდირის ტბა განთქმულია კალმახით. აქაური კალმახი დიდი ტანისაა და მეტის-მეტად გემრიელია. სანახავადაც საამურია, რადგან ბლომად აყრია ზურგსა და ჯგერდებზე დიდი წითელი წინწყლები. ჩილდირის ტბაში დაქვრილი კალმახი ქალაქშიაც-კი მოაქვთ გასასყიდად.

ქართულად ჩილდირის ტბას პალაეციოს ტბა ჰქვიათ.

ერუშეთ-კოლა-არტანი უვენახო და უხილო ქვეყანაა. ვერც იხეირებს აქ ვაზი და ხეხილი, კიდევ რომ გააშენონ, რადგან მდებარეობა ქვეყნისა მაღალია და ზამთარში სასტიკი სიცივეები იცის. ხენა-თესვის გარდა მცხოვრებნი მისდევენ საქონლის მოშენებას. ამ ხელობას ხელს უწყობს უხვი იალღები. არტანისა და კოლის ვაკენი და ველმინდორნი, აგრეთვე უტყეო მთანი გაზაფხულსა და ზაფხულში უხვად იმოსება ნოყიერის ბალახით, ყვავილით და დიდძალ საქონელს აპურებს და ასაზრდოებს. საბალახოდ ცხვრის ფარები ამოწყავთ არტანის მთებზე თუშებს, კიზიყელებს და დიდ-თონელებს. სოფ. დიდ-თონეთს (მანგლისის ახლოა) საკუთარი საბალახო აქვთ არდაგანის ოლქში. გენერალ პასკევიჩს უწყალობებია ეს საძოვარი თონელებისთვის და დღევანდლამდე მაგრად უქირავთ თვისი საკუთრება და არავის ანებებენ.



გადარჯულმებულ და გადაგვარებულ არტანს რომ ვიან ხოლმე ზაფხულობით თუშნი და ფშაენი, კიზიყელნი და დიდ-თონელები, მარტო მაშინ ედება ამ ქვეყანას ცოტადენი ელფერი ქართველობისა. სხვა დროს, შემოდგომა-ზამთარს და გაზაფხულს აღარსად მოისმის ქართული ხმა და მარტოდენ თურქ-ოსმალური სიტყვა-პასუხია ყველგან ვაბატონებული.

ერუშეთ-კოლა-არტანის საქონელი დიდი ტანისაა. აქაურ საკლავ საქონელს გასასყიდად ტფილისში ჰგზავნიან და ძალიან ხშირად იმერეთსაც ახალციხის გზით, ზეკარის უღელტეხილით და ბაღდადით.

კოლა-არტანს სრულებით აღარაა ტყეები, არც ის ვიცით, იყო როდისმე აქ ტყეები თუ არა. ალაგ-ალაგ, ისიც წყლის-პირებზე მოიპოვება არყნალის ბუჩქები. ერუშეთში დღესაც არის ტყეები, მაგრამ ძალიან ცოტა. ასორმოცდაათის წლის წინად აქ ბლომად ყოფილა ტყეები, მაგრამ გაუჩენიათ და ქვეყნისათვის დაუკარგავთ დამამშვენებელი სამოსელი.

უტყეობის და უშეშობის მიზეზით აქაურები პურის გამოსაცხობად, საქმლის მოსახარშად და სახლის გასათბობად ხმარობენ წივას. როგორც ჯავახეთში, ისე აქ თვითოეულ სახლის წინ ამართულია წივის ზეინები, რომელნიც ისედაც უღაზათო მიწურ სახლებს უფრო მეტად აუშნობენ და ლაზათს უკარგავენ.

ერუშეთ-კოლა-არტანის უფრო შესანიშნავი დაბა-სოფელნი და ქალაქნი ესენი არიან. ერუშეთისა: სამღერეთი, ნაქალაქევი, ერუშეთი,\*) ველი, წყაროსთავი, ვაშლობი, კინარბელი, კართანაყევი და სხვა. ისტორიულ სამღერეთის სახელი აღარ შენახულა. ჩვენის ფიქრით სამღერეთის ადგილზე სოფელი ველი უნდა იყეს. კარგა ხანია ამ სოფლიდან გადმოსახლდნენ აქაური ქართველები ჯავახეთს და დასახლდნენ

\*) ერუშეთი და სამღერეთი რუსულ კარტებზე აღარაა.



ოთხ ნასოფლარში: ბავრაში, კართიკამში, ხულგუბანში და ტურცხს. სარწმუნოებით კათოლიკენი არიან და უქირავეთ სომხის ტიბიკონი. შინ თათრულად ლაპარაკობენ, მაგრამ ვაი ამ თათრულს, ნახევრად ქართული სიტყვებია, რასაკვირველია დამაზინჯებელი. ურევია აგრედვე სომხური სიტყვები. აქაური ახალგაზდობა ძრიელ ეტანება სომხურს. ს. კართიკამის მოძღვარი მამა იგითხანოვი კარგი ქართულის მკოდნეა.

ნაქალაქევი ძველად ქალაქი იყო. ბატონიშვილ ვახუშტის სიცოცხლის დროს, მეთვრამეტე საუკუნის შუა წელს, დაბად ქვეულა. დღეს უბრალო, უხვირო სოფელია, სულ რაღაც 70—80 კომლიანი. ქართულს სულ აღარავენ ლაპარაკობს. ნაქალაქევს ყოფილა ეკლესია შვენიერი, გუნბათიანი, აშენებული, საქართველოს მეფე მირიანთან ბიზანტიის მეფე კონსტანტინე დიდის გამოგზავნილ ელჩისაგან. ელჩს დაუსვენებია ეკლესიაში სამსკვალავი ქრისტესი (ლურსმანი). ნაქალაქევს იჯდა ეპისკოპოზი ერუშეთისა და არტანისა. ვახუშტის დროს ეკლესია მთელი და დაურღვეველი იყო, ხოლო ცარიელი. მასასადამე მეთვრამეტე საუკუნის ნახევარს ოსმალებს ქრისტიანობა ამოუგდიათ და ღვთისმსახური გაუწყვეტიათ.

ს. წყაროსთავი ჯავახეთს ზედ აკრავს. კარგად შენახული კოხტა ეკლესია ამშვენებს ღარიბსა და უსუფთაობით სავსე თურქებით დასახლებულ წყაროსთავს. რუსულად აქაურებს თურქები ჰქვიან. შეიძლება ბევრი მათგანი ქართველის ჩამომავალი იყვეს.

არტანის ნაწილში უფრო საყურადღებოა თვით არტანი და შემდეგი დაბა-სოფლები: ჯინჭრობი, მაქუეთი, ნუნუსი, დუდუნა, ბაღდადი, ახაშენი, ჯარის-ხევი, ორუშეთი (აღბადეს ძველი ერუშეთის ნაშთია). სახელები ქართულია, მაგრამ შიგ ქართული აღარა ყრია რა.

არტანი პატარა ქალაქია და არც ძველად ყოფილა დიდი, აშენებულია მტკვრის დასავლით კიდებულ და ჰქონდა



მაგარი ციხე. არტანს იჯდა ერისთავი არტანისა და კოლხეთის  
 აქვე იყო ეკლესია გუნბათიანი; დიდ-შენი, შვენიერი და რო-  
 გორც სხვა მრავალი ეკლესია მტკვრის სათავისა და ცარიელდა  
 მეთვრამეტე საუკუნეს.

არტანის ახლოს რუსებმა გააშენეს ორი სოფელი: მი-  
 ხაილოვკა და ნიკოლაევკა.

ძველებური კოლა გაჰქრა, ამ სახელით არც ერთი დაბა  
 სოფელი არაა დღელის ნაწილში. ქართულ სახელიანი სოფ-  
 ლები აქაც მოიძებნება, მაგალითად: დადემი, ოთხი საყდარი,  
 ხევა, ოკამი (დუშეთისა და ახალ-ქალაქის მაზრებშიაც არის),  
 პანკისი (თიანეთის მაზრაშიაც არის), დადაშენი.

როცა საქართველოს საკუთარი მეფენი განაგებდნენ და  
 უვლიდნენ, კოლა მცირე ქალაქი ყოფილა. ამ ეზოდ ნასოფ-  
 ლარიც აღარ მოიძებნება კოლას ადგილას. ეს სახელი მოიპო-  
 ვება ოვსეთში, ქეშელთის სამამსახლისოში, გორის მაზრაში.

ოსმალონი რომ გაბატონდნენ საქართველოს ამ ნაწილში  
 კოლაში დასვეს ფაშა და სახელიდ უწოდეს კოლის ფაშა.  
 იგი ემორჩილებოდა ახალციხის ფაშას. კოლას ზევით, მტკვრის  
 კიდვზედ ს. დადემს იყო დიდ-შვენიერი და გუნბათიანი  
 ეკლესია. აქ იჯდა ეპისკოპოზი სრულიად კოლისა (დადაშ-  
 ნელი). ტაბტი დადაშნელისა გაუქმებულა ვახუშტის დროს.  
 მოხსენებული აქვს ბატონიშვილ ვახუშტის სოფელი ქუმურ-  
 ლო, სადაც ყოფილა მაგარი და შეუვალი ციხე. ბატონიშვი-  
 ლის აზრით ქუმურლოს ციხე ბეჭის-ციხეა.

კოლელები იგივე ჯავახები არიან. მეთვრამეტე საუკუ-  
 ნის ნახევარს ნახევარზე მეტს რჯული გამოუცვლია. მას შემ-  
 დგე გაირა 150 წელიწადმა და კოლაში სრულიად ამოვიარ-  
 და როგორც ქართული, აგრედვე ქრისტიანობა.

არტანსა და ჯავახეთ შორის იყო პატარა კუთხე ჩუღუ-  
 რეთი, ვაკიანი და ტიტველი, როგორც არტანი და ჯავახეთი.

მაშ ასე, ზემოდ ნაამბობიდან სჩანს, რომ უცხო ერის,  
 თურქ-ოსმალოს შემოსევამ მოსწყვიტა საქართველოს ხუთი  
 პატარა კანტონი (თემი, მაზრა, ხეობა): ფოცხვი, ერუშეთი,




არტანი, კოლა და ჩულურეთი. ორას წელიწადზე მეტი, ბატონობდა აქაურობას ოსმალო და თვისი ტლანქი ხელით აამტუტა ეს ხუთი პატარა კუთხე. ამოვარდა ენა, დიღუბა რჯული, შეიცვალა ზნე, ჩვეულება, ჩაცმა-დახურვა. მარტოდენ სახელწოდება ზოგიერთა სოფელთა, ეკლესიანი და მათი ნანგრევები-ლა მოაგონებს ადამიანს, რომ ფოცხოვი, ერუშეთი, არტანი, კოლა და ჩულურეთი ისეთივე საქართველო იყო, როგორცაა ქართლი, კახეთი, იმერეთი და სამეგრელო.

როგორც ამ წერილების თავში მოვიხსენიეთ, ფოცხოვი, ერუშეთი, არტანი, კოლა და ჩულურეთი შემოიერთა რუსეთმა 1878 წლის ომის შემდეგ, ერთ არდაგანის ოლქად შეაკოწიწა, მაგრამ ამ შემოერთებით ვერც არაფერი ხერი რუსეთმა ნახა, ვერც არაფერი ჩვენ ქართველებმა.

სულ სხვა ნაირად დატრიალდებოდა საქმე, ქართული ენა რომ გამხდარიყო საადმინისტრაციო ენად. ძველი ქართველი ადვილად შეითვისებდა ქართულს და ამ ენის შემწეობით ჩაერეოდა ევროპულ კულტურის ფერხულში.

ა. უფშიძე (დახასრული)





# წყალი

(პიტიუნიური საუბარი)



აზაფხული იყო. ძლიერ ჩამოცხა, სკოლაში და გარეთაც დაბშული ჰაერი ტრიალებდა: უცებ ქარი ამოვარდა და მტვრის კორიანტელი ააყენა. სკოლის მოწაფეებს ეზოში მოეყარათ თავი, ზოგი თამაშობდა, ზოგი შავ ღრუბლებს შესცქეროდა, ზოგი ქაღალდის გველს აკეთებდა, ჰაერში უშვებდა და ამით ერთობოდა. უცებ კიდევ დაუბერა ქარმა და წამოვიდა კოკის პირული წვიმა. ბავშვებმა ზოგმა აქეთ-იქით შეაფარეს თავი, ზოგი ეზოშივე დარჩა, უშვერდა ხელპირს წვიმას და ფიქრობდა თავისს გულში: გაზაფხულის წვიმა ყველაფერს ზრდის და მოდი მეც გამზარდოსო. ერთი მათგანი მივარდა და ღარში მომდინარე წვიმის წყალს ხარბად სმა დაუწყო. ეს დაინახა მასწავლებელმა, ზარი დაარეკინა, მოწაფეებს კლასში თავი მოუყარა და უთხრა: მე დავინახე, რომ ნაკო ღარში მომდინარე წყალსა სვამდა; ნიკოს არ სკოდნია, რომ წვიმის წყალი სასმელიად არ ვარგა და ამასთან მავნებელიც არის ჯანმრთელობისათვის, ამიტომ დღეს მე თქვენ ვრცლად გეზაასებით წყლის შესახებ და ყველაფერი ჩემი ნათქვამი კარგად უნდა დაიხსომოთ და მოერიდოთ იმას, რაც ავნებს საზოგადოთ, ადამიანის ჯანმრთელობას.

წყალიც ისევე საჭიროა ადამიანისთვის, როგორც ჰაერი. ჩვენი სხეულის უმჯავრესი შემადგენელი, ნაწილი წყალია.

აღამიანის სხეული ხუთს ფუთს იწონს და აქედგან სამი ფუთი წყალს წარმოადგენს. წყალი ხელს უწყობს მიღებულ საკმე-ლის გარდაქმნას სითხედ, რომელსაც ნაწილგებიდან სხეული ადვილად შეისვრეტს. ამას გარდა სხეულისათვის მრავალი ურგები და წყალში ვახსნილი მავნე ნაწილები შორდება ჩვენს სხეულს. სიმშლის უფრო დიდხანს მოითმენს ადამიანი ვიდრე წყურვილს, მაგრამ ყველა წყალი არ ვარგა სასმელად. მავალითად ავილოთ წვიმის წყალი: თქვენ ხედავდით წელან როგორი მტვერი იდგა ჰაერში, ეს მტვერი წვიმამ ჩამორეცხა, სახლის სახურავიდან მან ჩამოიტანა მტვერი და სხვა სიბინძურე და ამისთანა წყალს ხარბად დაეწათა ჩვენი ნიკო და მგონია ვერც სიტკბოებას იპოვიდა იგი წვიმის წყალში. ზღვის წყალი მლაშეა და მწარე. ამიტომ არც იმისი დაღვევა შეიძლება. სასმელი წყალი უნდა იყოს მტკნარი, გამკირვალე, უფერული, უსუნო და უგემო. იმაში არ უნდა ერიოს არც მტვერი, არც ბევრი რკინა და არც კირი. მკვრივი წყალი, რომელშიაც ბევრი კირი ურევია, კუჭს მოშლის და არც ოჯახში ვარგა სახმარებლად, დუღილის დროს დიდს ქაფს იკიდებს, სარეცხისთვის ბევრს საპონს ითხოვს, მცენარეულობა შიგ კუდად იხარშება და ჩაიც კუდი დგება. წყალში, როგორც ვიცით, ადვილად იხსნება სხვა და სხვა ნივთიერება შაქარი, მარილი და სხვ. ზღვის წყალი იმიტომ არის მლაშე, რომ შიგ ბლომად არის მარილი ვახსნილი, მაგრამ მარილი ყველა სხვა წყლებშიც ურევია. მხოლოდ ძლიერ ცოტაა და შეუმჩნეველი.

გამდნარ ნივთიერების გარდა წყალში ვამჩნევთ კიდევ პატარ-პატარა ნაწილებს, რომელნიც წყალს აძლევენ მღვრიე ფერს. ზოგი იმისთანა ნაწილები წყალს მიწის სიღრმიდან ამოჰყვება, როცა წყაროებად ამოდის, ზოგსაც წყალი ჰაერში შეიერთებს, როცა წვიმის წვეთებად ჩამოდის დედა მიწაზედ. ზოგიც წყალს თან მიაქვს დედამიწის ზედა პირიდან თავის კალაპოტში მიმდინარეობის დროს. მაგრამ წყალს ხშირად აღამიანიც აბინძურებს, ბანს შიგ პირუტყვებს, ქარხნებიდან

დაბინძურებულ წყალს მდინარეში უშვებს, ყოველივე სიბინძურე გააქვს მდინარის ნაპირას და შიგა ჰყრის. როცა სიბინძურე და დამპალი ნივთიერებანი მოჰყვება წყალში, წყალსაც აბინძურებს და მიენებლად ჰხდის. ამისთანა წყალი სასმელად მეტად მიენებელია. ამიტომაც სასმელად აღამოიანმა უნდა იხმაროს ან სრულიად სუფთა და ან დაწმენდილი წყალი. თითქმის სარეცხისათვისაც და იატაკების დასარეცხადაც სუფთა წყალია საჭირო; სუფთა წყალი-კი შეიძლება იხმარონ ქებიდან ან წყაროებიდან, რომლებშიც, ცოტად თუ ბევრად წყალი უფრო გაწმენდილი უნდა იყოს. ქალაქებში აკეთებენ წყლის-გასაყვან მილებს, ამ მილებში გაჰყავთ დაწმენდილი მდინარის ანუ წყაროს წყალი. დიდ ქალაქებში ხშირად რამდენიმე ათი ვერსის მანძილზე გამოჰყავთ წყალი მილებში.

წყლის დასაწმენდად ბევრნაირი საშვალეებია. თუ მღვრიე წყალში ისეთი ნაწილები ურევია, რომელიც ადვილად დაილექება მაშინ წყალს დააყენებენ ქურქელში, სანამ სიბინძურე ქურქლის ფსკერში არ დაილექს, შემდეგ ამნაირად დაწრეტილ წყალს სხვა ქურქელში გადაასხმენ და ტალახი პირველ ქურქლის ძირში დარჩება. მაგრამ მღვრიე წყალი ამ უბრალო საშვალეებით იშვიათად დაწდება კარგად. უმჯობესია წყლის ადუღება, ან დასაწმენდ მასალაში გატარება. დუღილის დროს წყლიდან ქრება ზოგიერთი მავნე ნაწილები და სასმელადაც სავარგისი ხდება. წყლის ადუღება უკეთესია და უფრო ადვილი საშვალეებაც არის. წყლის გასაყვან მილებში და ზოგიერთ ოჯახებშიც წყლის გასაწმენდად სხვა საშვალეებაც ხმარობენ. გაატარებენ წყალს ისეთს ნივთიერებაში, რომელიც ნარევ უწმინდურებას თან მიიკრავს და სუფთა წყალს გაუშვებს. ასეთს ნივთიერებას წყლის გასაყვან მილებში წარმოადგენენ სუფთა ქვიშის შრეები; ოჯახებში კი წყალს გაატარებენ ნახშირში ანუ დაწხვრეტილს ქვებში, სუფთა ტილოში, საშრობ ქაღალდში და სხ. მღვრიე წყლის გამქვირვალედ გადაქცევა შეიძლება ცოტა ბორავის ანუ შაბის ჩაყრით წყალში.



სხვა და სხვა სიბინძურესთან ერთად დედამიწის ჩვეულებრივ ზე წყალში ჩნდება სხვა და სხვა ბაქტერიებიც, რომელთა შესახებ საუბარი წინეთ გვქონდა. ეს ბაქტერიები უფრო ადვილად მრავლდება ბინძურსა და დამბალ ნივთებით სავსე წყალში, როგორც არიან მაგალითად ხოლერისა და სახადის ანუ საოფლეს ბაქტერიები. ეს მოარული სენი ხშირად მღვრიე და ბინძური წყლის გამო ჩნდება. ბევრგან შენიშნავთ, რომ გადამდები სენი ერთბაშად მოსპობილა, როცა მღვრიე და ტალახიან მდინარე წყლის სმისათვის თავი დაუნებებიათ. საზოგადოდ მოარული სენით უფრო ისინი ხდებიან ავად ვინც სასმელად მდინარის წყალსა ხმარობს და არა მილის ანუ წყაროს სუფთა წყალს. მაგრამ ყველა ამ შემთხვევებში, როცა რომელიმე მოარული სენი მძვინვარებს, უმჯობესია სასმელად გადაღუღებული წყალი, რადგანაც დუღილის დროს ბაქტერიები იხოცებიან, ნათქვამიდან ცხადია რატომ არ შეიძლება ნავის და სხვა სიბინძურის ჩაყრა მდინარეებში და ტბები და წყლის გაბინძურება. ჩვენში არც ქალაქებში და არც სოფლებში ამას არაფერ უურადლებას არ აქცევს. ამიტომაც სხვა და სხვა მოარული სენი ჩვენში უფრო ხშირია, ვიდრე განათლებულს ქვეყნებში.

წყალი რომ არ გაბინძურდეს და არ გატალახიანდეს საჭიროა ზეადავის სისუფთავესაც მიექცეს ყურადღება. ზეადავი, როგორც ვიცით შესდგება სქელი ნეშომპალის შრეებისაგან, ქვიშისა, თიხისა და ქვის შრესაგან, რომელიც წყალს ქვევით მიწაში არ უშვებს და ზემოდ გუბდება; თუ სადმე ახლოს სანაგვე ორმო არის—სიბინძურე გაეგანავს, მიაღწევს დაგუბებულ წყლამდის და იმასაც გააბინძურებს. ქებშიც, თუ ბოსლებისა და სანაგვეს ახლოა, ბლომად მოჰყვება ბაქტერიები, ამიტომაც ქების ახლო-მახლო ზეადავის სისუფთავის დაცვაც დიდად საჭირო არის. ქები საზოგადოდ ისე უნდა იყოს დაფარული სიბინძურისაგან, რომ წვიმის წყალსაც კი არ შეეძლოს შიგ ჩასვლა.

ამ ნაირად კარგი და საკმაო სუფთა წყალი დიდად საჭიროა ადამიანის ცხოვრებისათვის. მღვრიე და ტალახიანი წყა-

ლი აენებს მისს ჯანმრელობას და ხან და ხან მომაკვდინებელი სენის მიზეზადაც ხდება. წყლის მოვლა უსუფთაობისაგან, მღვრიე წყლის გაწმენდა ადამიანის ხელთ არის და იგი მუდამ უნდა ზრუნავდეს ამაზედ.

ამის შემდეგ მასწავლებელმა მოწაფეებს მიჰმართა ქვემო მოყვანილი საზოგადო კითხვებთან, რომელზედაც მოწაფენი სრულს პასუხს აძლევდნენ, ერთუბოდათ ყურადღებით მოესმინათ ნაამბობი და კარგადაც შეეგნათ. ნაკომაც აღუთქვა მასწავლებელს, შემდეგში ისე მოვიქცევი როგორც დღესა ბრძანეო.

**კითხვები.** რა საქართა წყაღა ადამიანისათვის? როგორა წყაღა ვარგა სასმელად და როგორა არა? რა და რა გამდნარი ნაწილები ურეყია წყაღში? რატომ არ ვარგა კირ-ნარეყი შვერიეა წყაღი? რას ვაძნევეთ წყაღში გამდნარ ნივთიურების კარდა? საიდან იღებს წყაღი ისეთს ნაწილებს, რომელად მას აძლვრეკს? რომელია უფრო სუფთა წყაღი? რა და რა საშუალებით სწმენდენ წყაღს და რომელია უფრო საუკეთესო? როგორ წყაღში მრავლდება ბაქტერაები და რატომ არ შეიძლება მდინარეში და ტბებში საბანძურის ჩაყრა? რა კავლება აქვს ზეადაგის სასუფთაეკს წყაღის სასუფთაეკზედ.

ლ. ბოცვაძე.





# გოტანიკური საუბარი

(გაგრძელება)

## შტო



ხალგაზრდა ხე განიჩქევა ბალახოვანთაგან იმიითი, რომ პირველ ხანში ძალიან მძიმედ იზრდება. ეს მოვლენა ადვილად აიხსნება: ნორჩმა ხემ უნდა გაიკეთოს დიდი ფესვები და მოამზადოს საზრდო მომავალ წლისათვის, რადა გაზაფხულზედ ამ მასალით გამოიტანოს ნორჩი ყლორტები და ფოთლები. ამის გარდა, უნდა გაიმაგროს, ხედ გარდაქმნას თავისი ფესვები, შტო და ტოტები, რისათვის, რასაკვირველია, საჭიროა ბევრი მასალა. ამიტომ ნორჩი ხე არ ეშურება გაზრდას, თითქო დარწმუნებულიაო, რომ ის, ვინც იმას ზრდაში გაუსწრო, შემოდგომამდის ძლიერს გასტანს და მერე ამ პატარა ხეს დაუთმობს თავის ალაგს და მზის სხივებს. რადგანაც პირველ ხანში ხე ძალიან მძიმედ იზრდება, ბალახის მიერ დაჩრდილებაც უნდა აიტანოს. პირველ სამოთხ წელიწადს პატარა ხე ჩამალულია ბალახებში. მაგრამ — გავა კადევ ორი-სამი წელიწადი და მაშინ თვითონ დასჩაგრავს თავის მეზობელ ბალახებს. შორს გადაჰფენს ტოტებს, რადა თავის ფოთლებს უხვად მიაწოდოს მზის ცხოველ-მყოფელი სხივები თავის-თავის გასაძრეველად და დასამკვიდრებლად.

ხე პირველ დღიდანვე სიკვდილამდე იზრდება. სისქე ბოლომდისინ ემატება და კარგა დიდი ხანი სიმალეც; სი-





ბერის ღროს სიმაღლით თითქმის აღარ იზრდება. ხის უძველესი ყოველ წლივ იწყება გაზაფხულობით და გრძელდება შემოდგომამდე, ემატება ქერქ ქვეშ ახალი ზოლი (წლიური წრე). ზამთრობით ხეს სძინავს და არას იმატებს. ხე ზაფხულობით ნათელს, რბილ მერქანს იკეთებს, ზაფხულსა და შემოდგომობით უფრო მაგარს და მუქს. შემოდგომით გაკეთებულ მერქანს მოსდევს გაზაფხულის ბაცი მერქანი, ამიტომ ხეებს კარგად ემჩნევათ ყოველ წლიური წრე. ხე ძირში რომ გადავმოვროთ, როგორც გვიჩვენებს სურათი № 10 და დაეთვალოთ ეს წრეები, სწორედ გავიგებთ ამ ხის წლოვანობას, რადგანაც ზოლები უტყუარი მეტრიკაა ხისა.



სურათი 10. ხის წლიური ზოლების განსაზღვრა

დამორილ ხეს რო დაეკვირდეთ, დაინახავთ, რომ ზოგი ზოლი სქელია, ზოგი-კი ვიწრო. ვანიერ ზოლს ხე იკეთებს იმ წელიწადს, რომელიც მის გაზრდას ხელს უწყობს; მაგალითად, თუ ზაფხული თბილი და ნესტიანი იდგა. ვანიერ ზოლებს შუა ვიწრო ზოლების ჩარევა აიხსნება იმითი, რომ ხე რაღაც მიზე-

ზების გამო დასუსტებულია, რიგიანად ვერ გაზრდილობს. რასაკვირველია, ბევრი მიზეზების დასახელება შეიძლება: ხეს ასუსტებს ქარი და სეტყვა, რომელიც ტოტებს ამტვრევს და უჩრქავს; მწერი, რომელიც ფოთოლს უკაშს და გულს უღრღნის, თვით კაცი უკაფავს ტოტებს, აკლის ქერქს და სხვ. მაგრამ უფრო ჩვეულებრივი მიზეზი ამ მოვლენისა გვალვიანი წელიწადი არის ხოლმე. ხელთ რომ გვქონდეს რამდენიმე ძირში დამორილი ხნიანი, მაგრამ სალი და არა ფულურო ხე, და ვიცოდეთ ამ ხეების მოკრის წელიწადი, მაშინ წრეების საშუალებით შეგვიძლიან დაახლოვებით გავიგოთ, — როგორი ზაფხული ყოფილა რამდენიმე ასი წლის წინადაც-კი. როგორცა ჩანს ხე ამ ზოლებით ბევრს რასმე გვეუბნება!

ზემოდ გვქონდა ნათქვამი, რომ ხე ძალიან დიდი ხანი, თითქმის სიკვდილამდე იზრდებაო. რადგანაც ხე დიდხანს ცოცხლობს, ამიტომ საკვირველი არ არის, თუ ზოგიერთი ხე ძალიან სქელი და თვალ-აუწვდენელი იზრდება. ჩვენებურ ხეებში უმაღლესი არის ხოლმე სოკი, რომლის სიმაღლე ხშირად 150 არშინს აღემატება. ნაძვი, ფიჭვი, მუხა და წიფელი-კი 120 არშინამდე უწევენ.

დედა მიწის ზურგზედ უმაღლესი ხეები ავსტრალიაშია. ამ ხეებს ევკალიპტს ეძახიან მათი სიმაღლე 225 არშინზედ მეტია. სხვათა შორის ეს ხეები ბათუმის და სოხუმის მხარეს ძალიან კარგად და მალე იზრდებიან. ამერიკაშიც ხშირად შეხვდება კაცი თვალ-აუწვდენელ სიმაღლის ხეს, რომელიც მაინც ევკალიპტის ოდენა ვერ იზრდება.

ცხადია, ხე იზრდება მაღალი იმ შემთხვევაში, თუ ყველა გარემოება ხელს უწყობს. ხოლო თუ ამ ხეებს თავდაპირველად აკლიათ რამე, მაშინ თვით უმაღლესი ჯიშის ხე ისე იზარება, რომ კაცის სიმაღლესაც ვერ უწევს. ვინც ყოფილა ჩვენს მაღალ მთებზედ, ენახებოდა, როგორ ეკვრიან იქ სიცივისა გამო მიწას ის ხეები, რომელნიც ქვეით, მყუდრო მთის კალთებში თამამად ცას ეალერსებიან. ცივ ალა-


გას, როგორც არის მალალი მთის წვერო, ხეები მიწას კლიფს  
 ასცილდებიან, რადგან სუსხი და მშრალი ქარი ახმობს იმ  
 ტოტებს, რომელიც დედამიწას შორდება და მალა იმარ-  
 თება. მიწის პირ წაწოლილი ტოტები უფრო იდევილად იტა-  
 ნენ სიცივეს იმიტომ, რომ მთაში, როგორც ვიცით, დიდი  
 თოვლი მოდის და ეს თოვლი სიცივისაგან იფარავს მიწაზედ  
 გართხობილ ტოტებს სწორედ ისე, როგორც ქართლში ხამ-  
 თრობით მიწა ინახავს ჩაფლულ ვაზს.

**სოლ. ქურდიანი**

(შემდეგი იქნება)



ბოტანიკური სუბარა  
 ქართული ენის საქართველო  
 მთაში, როგორც ვიცით, დიდი თოვლი მოდის და ეს თოვლი სიცივისაგან იფარავს მიწაზედ გართხობილ ტოტებს სწორედ ისე, როგორც ქართლში ხამთრობით მიწა ინახავს ჩაფლულ ვაზს.



# წიგნი

## ფიზიოლოგიიდან



### წერადა შეთხუ

დამიანი წარმოადგენს მანქანას, რომელიც გარეშე ბუნებას ართმევს სხეა და სხეა ნივთიერებას მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში. ყველა ამ ნივთიერებას ის ხმარობს სხეა და სხეა საჭიროებისათვის, ადა-

მიანის აგებულებისათვის საჭიროა სამგვარი ნივთიერება: ჰაერ-გვარი შევებადი, სითხე და მაგარი ნივთიერება. პირველი ნივთიერება ადამიანის აგებულებაში ჩადის ფილტვებიდან სუნთქვის შემწეობით; დანარჩენი ორი კი პირიდან. საზრდო რომ საჭიროა ყოველი სულდგმულისათვის, ამას დამტკიცება არ უნდა: რომელიმე ცხოველი რომ უკმელი დასტოვოთ დიდხანს, მოკვდება.

აიღეთ მაგალითად ცხენი. როდესაც დიდი ხნის განმავლობაში საკვები ნაკლებადა აქვს, ის ხდება; თუ გამზდარ ცხენს საკვები ბლომად აძლიეს, ისევ სუქდება ესე იგი ქონი, ხორცი ემატება. სადედან შეიძინა მან ეს ქონი და ხორცი? ცხადია, საკვებიდან. იგივე ითქმის ადამიანზედაც, როდესაც ადამიანი იბადება, იმის საზრდოს რამდენიმე თვის განმავლობაში მარტო რძე შეადგენს. ამ ხნის განმავლობაში ის იზრდება ესე იგი მის ემატება ხორცი, ქონი,



კანი, ძვალი და სხვა. ცხადია ყოველსავე ამას ბავშვი იძენს საზრდოდან. დიდი ადამიანი თუმცა აღარ იზრდება, მაგრამ სამაგიეროდ მას სხვა და სხვა ალაგას სხვა და სხვა ნაწილები აკლდება, ზოგან კანი, ზოგან ხორცი, ზოგან ქონი და ამ დანაკლისს ის ივსებს მიღებული საზრდოდან. ადამიანის სხეული არის თბილი. ეს სითბო ჩვენს სხეულს უკლებლად თან ახლავს მთელი სიცოცხლის განმავლობაში. აიღეთ რკინა, გაახურეთ ცეცხლზე და შემდეგ გამოიღეთ; რამოდენიმე ხნის განმავლობაში ის განელდება და გაცივდება ესე იგი სითბოს დაჰკარგავს. ამ გვარი მოვლენა საზოგადო კანონს წარმოადგენს მთელს ბუნებაში: ცივი თბილს სითბოს აკლის. მაშასადამე ადამიანის აგებულებაშიც უნდა დაჰკარგოს თავისი სითბო და უნდა განელდეს ისე, როგორც გახურებული რკინა ნელდება. დიად, ადამიანიც სწორედ იმ გვარადვე ჰკარგავს თავის სითბოს, როგორც ყოველი თბილი საგანი და თუ არ ცივდება, მხოლოდ იმიტომ, რომ იმის სხეულში სითბო შეუჭრებლად ღვივდება მთელი სიცოცხლის განმავლობაში. საიდან ჩნდება ეს სითბო! იმ საზრდოდან, რომელსაც ჩვენ ვღებულობთ. ზამთარში, როდესაც ჰაერი და ყველა გარეშე საგნები ცივია, ადამიანი მეტ სითბოსა ჰკარგავს, ამიტომ ის საკმელსაც მეტსა სჭამს. სამაგიეროდ ზაფხულში, როცა ჰაერი თბილია, ადამიანი უფრო ნაკლებ სითბოს ჰკარგავს და ამიტომ საკმელიც უფრო ნაკლები ჰყოფნის.

ადამიანის აგებულებაში მზადდება სხვა და სხვა სითხე: რძე, ნალღველი, ნერწყვი, კუჭის წვენი და სხვ. საიდან ჩნდება ყოველივე ეს? ცხადია, მხოლოდ მიღებული საზრდოდან.

ადამიანი მუშაობს, მოჭმედობს. საიდან ეძლევა მას ეს სამუშაო ძალა? მხოლოდ საზრდოდან. როდესაც ადამიანი რამოდენიმე დღე შშიერი რჩება, ის იმდენად სუსტდება, რომ არა თუ მუშაობა, ხშირად ფეხზე გაჩერებაც აღარ შეუძლია და ბამბის ფთილასავით არის მოღუნებული.

აი რამდენ დანიშნულებას ემსახურება ჩვენს სხეულში სასმელ-საკმელი.

მიღებული საზრდო პირიდან გადადის საყოფავეში, აქედან საყოფავე მილით ჩადის კუქში და შემდეგ ნაწლევებში. მთელ ამ გზას ეწოდება საკმლის მოსანელებელი მილი. ამ მილის სხვა და სხვა ალავას საკმელი განიცდის სხვა და სხვა ცვლილებას. ყველა ამ ცვლილებას ერთად ერთი მიზანი აქვს: გაათხელოს და ისე გარდაქმნას საკმელი, რომ ის ადვილად გადავიდეს ნაწლევებიდან სისხლში.

ყველაზე უმაღლესი საკმელი ცვლილებას განიცდის პირში კბილებისა და ნერწყვის შემწეობით კბილის წყალობით საკმელი იღვება; საკმლის დაღვევაში დიდ მონაწილეობას იღებს ენა. ნერწყვი გამოდის სანერწყვე ჯირკვლებიდან, რომლებიც ადამიანსა აქვს სამი: ერთია ყბას ქვეშ, მეორე ენის ძირში, მესამე ყურებს ქვეშ. ნერწყვი შესდგება სამი ნაწილისაგან: პირველია წყალი, მეორე წბოლი ანუ ლორწო, მესამე ფტიულინი. წყალი ათხელებს მაგარ საკმელს, აღნობს ზოგიერთ იმის ნაწილებს და ამგვარად აადვილებს დაღვევასა, და გადაყლაპვას; ნერწყვის წბოლის დანიშნულება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მისი შემწეობით საკმელი ადვილად გადაკურდება ხოლმე პირიდან კუქში, ფტიულინის ზეგავლენით კი კრახმალის შაქრად იქცევა.

იკითხავეთ, რაღა მაინცა და მაინც მაშინ იწყებს ნერწყვი პირში დენას, როცა საკმელი ეგულება შიგაო. საკმე აი რაშია: პირი რომ ძალიან დააღოთ და ენა აბავე დროს ძალზე გარეთ გამოჰყოთ, ენის ძირში შენიშნავეთ პატარ-პატარა მტკვებებს ანუ გემოვნების კვირტებს, ამ მტკვებების წყალობით ჩვენა ვცნობთ საკმელ სასმელის გემოს. მოსვით ეს მტკვებები და მაშინ ჩვენ ვეღარ გავარჩევთ. ვერც ტკბილს, ვერც მწარეს, ვერც მლაშეს, ვერც მყავეს და სხვ. ამ მტკვებებში დატანებულია ნერვები, რომლებიც თავის ტვინთან არიან შეერთებული. ნერწყვის ჯირკვლებიც თავის ტვინთან არიან შეერთებული ნერვების შემწეობით. როგორც-კი შევა საკმელი პირში, გემოვნების მტკვებები ნერვების შემწეობით გაავებინებენ თავის-ტვინს ეს უკანასკნელიც ნერვებისავე შემ-


წეობით აამუშავებს ნერწყვის ჯირკვლებს, რომლებიც იწყებენ ნერწყვის მზადებას. იმგვარად ნერვები ასრულებენ ტელეგრაფის მართულების დანიშნულებას; თავის ტვინი კი არის მთელი სხეულის გამგე, მმართველი და მეთვალყურე.

დაღუპილი საქმელი საყლაპავი მილით ჩადის კუჭში, რომელიც ადამიანსა აქვს მუცელში ქიპს ზემოთ მარცხნივ.

კუჭში საქმელი რჩება რამდენსამე საათს და ამ ხნის განმავლობაში ძალიან იცვლება, იხარშება; ყოველგვარი საქმელი—ხორცი, პური, კვერცხი ყველი და სხვ. კუჭში ერთად ითქვიფება და სითხედ იქცევა. რა ხარშავს კუჭში ჩასულ საქმელს? კუჭის წვენი. სადიდან ჩნდება კუჭის წვენი? კუჭის კედლებში დატანებულია ურიცხვი ჯირკვლები; ჩავა თუ არა კუჭში საქმელი. ამ ჯირკვლებიდან იწყებს ევანას კუჭის წვენი. კუჭის წვენი ფერთი არის ყვითელი და გემოთი მჟავე. იმის უმთავრეს ნაწილებს წარმოადგენენ მარილის სიმეავე და პეპსინი. კუჭში ჩასულ საქმელს ხარშავენ მარილის სიმეავე და პეპსინი. ავილოთ მაგალითად ხორცი, პური და რძე. როდესაც ხორცი კუჭში ჩადის, კუჭის წვენის ზეგავლენით ჯერ გაბიფინდება, შემდეგ იშლება, თან და თან დნება და ბოლოს სითხედ იქცევა. რძე კუჭში ჯერ შეიკვრის, შემდეგდება: შემდეგ გაბიფინდება გაფუებული ცომივით და ბოლოს სითხედ იქცევა; იგივე ემართება პურს, ყველს კვერცხს, ხილს და სხვ.

როდესაც კუჭში საქმელი საკმაოდ მოიხარშება და გათქვიფება, გადადის ნაწლევებში. აქ საქმელს წინ დაუბედება ერთი მხრით კუჭ-ქვეშ მდებარე ჯირკვალის წვენი, მეორე მხრით ნაღველი. კუჭს ქვეშ მდებარეობს მოგრძო ჯირკვალი, რომელიც პატარა მილით უერთდება ნაწლევებს. ეს ჯირკვალი ამზადებს წვენს, რომელიც წვრილი მილით ჩადის ნაწლევებში და ასრულებს იმავე დანიშნულებას, რასაც კუჭის წვენი. ე. ი. კუჭში მოხარშულ საქმელს ის კიდევ უფრო ხარშავს. ღვიძლს ქვეშ აკრავს პატარა ბუშტი ანუ პარკი, რომელიც წვრილი მილით უერთდება ნაწლევებს. ღვიძლი ადამიანსა აქვს მარჯვნივ მუცელში ქიპს ზემოდ. ღვიძლი ამზადებს მწარე სით-

ხეს—ნაღველს, რომელიც გროვდება ნაღველის პარკში და აქედან წერილი მილით ჩადის ნაწლევებში. ნაღველის უმთავრესი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ ის ხარშავს ქონს. გარდა ამისა ნაღველი აღიზინებს ნაწლევებს და ამით იწვევს



ნაწლევების მოძრაობას, ნაწლევების მოძრაობა-კი მეტად საკიროა, უამისოდ საკმელი ერთ ალაგას გაჩერდებოდა ნაწლევებში.

ნაწლევების კედლები იმგვარად არიან მოწყობილი, რომ ისინი ისეავენ გათხელებულ საკმლიდან უმეტეს ნაწილს, რომელიც ნაწლევების კედლებიდან სისხლში გადადის. სისხლს ის გულში მიიქვს და გული მთელს სხეულს უნაწილებს.

#### ი. გომართელი







**მე-5 № მოთავსებად თვალთ მათხოგის ახსნა:**

აიღეთ ორი ერთნაირი ბეჭედი. ერთ მათგანს ჩააბით წვრილი შავი ძაფი, რომლის ბოლოც უნდა მოაბათ წკებლას. ეს ჯოხი და ზედ მობმული ძაფი ბეჭდით დამალული უნდა გქონდეთ, მაგალითად შანდალს ამოფარებული, რომელიც მაგიაზედ გიღვიათ.

წკებლის აღების დროს უნდა შეუმჩნევლად შესცვალოთ ბეჭდები. თავისუფალ ბეჭდის მაგივრად აჩვენოთჯოხზედ მიბმული ბეჭედი და ეს უკანასკნელი ჩააგდოთ ქიქაში. როდესაც ამას შეასრულებთ, აიღეთ და დაჰკარით წკებლა ქიქას. წკებლის აღებისათანავე ძაფი გაიქიმება, აიყოლიებს ქიქიდან ბეჭედს და დააწყებინებს სასაცილო ხტუნვას. ბოლოს ისევე ფარულად შესცვლით ბეჭედებს; წკებლას შეინახავთ, თავისუფალ ბეჭედს ჩამოატარებთ და ხელმეორედ აჩვენებთ ვაკვირებულ მაყურებელთ.

**2 სიგარის მოგზაურობა.**

რომელსამე მაყურებელს გამოართვით სიგარა. დასდგით მაგიდაზე თეთრი შუშის ბოთლი და ჩაუშვით შიგ სიგარა. ჩასვლისათანავე სიგარა დაიწყებს ბოთლში ხტუნვას ვიდრე არ უბრძანებთ ბოთლიდან ამოსვლას. სიგარა დაუყოვნებ-

ლივ აასრულებს თქვენს ბრძანებას, და თქვენც უკანვე მიიბრუნდება თმვეთ გაკვირვებულ პატრონს.

**ახსნა:** ღიღზე მოიბიძე წვრილი შავი ძაფი, სიგრძით ერთი არშინი. ძაფის შერაზე ბოლო გაუყარეთ წვრილ მოკლე ნემსში და გამოუნასკვეთ თავი. როდესაც სიგარის ბოთლში ჩაშვება დააპიროთ, შეუშინებლად ჩაურქვეთ ნემსი სიგარაში. სიგარა მობმულია თქვენ ღიღზე. ამის შემდეგ ადვილია სიგარას ბოთლში მოძრაობა დააწყებინოთ. ბოლოს ამოსწევთ ძაფს და სიგარა თქვენს ბრძანებისამებრ უცხად ამოვიდა ბოთლიდან, რომ პატრონს დაუბრუნდეს.

**გიგო ჯაფარიძე**

**რ ა ბ უ ს ი**



**მ-5 №-ში მოთავსებულ გამოცანების აღსნა:**

გამოცანის აღსნა: საბარება.

რეზუსის აღსნა: ხელი-ხელსა ბანს, ორივე პირსა.

რედაქტორი მ. ი. დემურია. გამომც. თ. პ. ი. თუმანიშვილი.

## გიგლიოგრაფია საგაჭვოვო წიგნებისა

ქრისტეფორე შმიდტს მრავალი საყმაწვილო მოთხრობა აქვს. მის კალამს სხვათა შორის ეკუთვნის ორი მოთხრობა: „მარიამი ანუ ყვავილების კალათი“ და „სვიის გვირგვინი“ (თარგმანი სალომე შუბათელისა).

ორსავე მოთხრობაში შმიდტს ერთი და იგივე აზრი აქვს გატარებული: სიმართლე, სინიღისი, პატიოსნება, ერთოფრთისათვის თავდადება, გაჭირებაში დახმარება, მეგობრობა. ადამიანის ამ საუკეთესო გრძნობებს აღუძრავს ავტორი პატარა მკითხველს. თვალსაჩინო მაგალითით უმტკიცებს, რომ სიმართლე ბოლოს მაინც გაატანს თავისას, რაც უნდა ფეხ ქვეშ გაათელილი იყოს, რომ სინიღისი და პატიოსნება ადამიანის უადრეს სიმდიდრეს შეადგენენ; რომ ერთმანერთისთვის თავდადება, დახმარება, მეგობრობა ყოველი ადამიანის მოვალეობას შეადგენს. ავტორი ხელოვნურად იღწერს ბუნებას, მის სიმშვენიერეს, სიდიადეს და გვასწავლის, რომ თვით ბუნებაშია ჩამარბული სიმშინდე, სიფაქიზე, სიყვარული. მკითხველი გრძნობს, რომ, ქვეყნიურ ცხოვრების ყოველ დღიურ წვრილმანის გარდა ადამიანს აქვს კიდევ უმაღლესი საზრუნავი, სწორედ ის, რომლითაც იგი განირჩევა მცონარეთაგან და მიუახლოვდება უზენაეს არსებას.

ქართულ ენაზედვე მოიპოება შმიდტის საყმაწვილო მოთხრობანი: „მტრედი“ და „კეთილი ძალი“.

სან ღანი

მიიღება ხელის მოწერა



1908 წლის იანვრიდან 1909 იანვრამდე.

საქმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

# ნ ა კ ა დ უ ლ ი

(წელიწადი მეოთხე)

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

**24** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლივანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

პრემია: 1-ლი, „1908 წლის კედლის კალენდარი 12-ი სურათით“. 2-რე, „თომას თავგადასავალი“ მარკტვენისა.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახლ., № 8, ყოველ-დღე 9 — 2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა. წლიურად ფასი ჟურნალისა დამატებით, ესე იგი 36 წიგნისა რჩება ისევე ნ მანეთი.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას

ვინც მასალას გამოგზავნის დასაბეჭდათ ეთხოვთ გარკვევით და სუფთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: მ. ი. დემურია.

გამომცემელი: თავ. პ. ი. თუმანიშვილი.